F75/3 Д13843

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ფასი 10 კაპ.

პარასკევი
20
ივლისი
1934 წ.
№ 166 (4022)

დღეს ნომერში

- — მოძმე კომპარტიების ბრძოლა მშრომელთა მთლიანი ფრონტისათვის.
- — ინგლისის კომპარტიის წერილი ლეიბორისტული პარტიის აღმასკომს.
- — ინგლის-თურქეთის ინციდენტი.
- — საერთაშორისო იურიდიული კომისიის განცხადება ამხ. ტელმანის მომავალი პროცესის გამო.
- — ბერლინში დაითხოვეს მოიერიშეთა რვა რაზმი.
- — სან-ფრანცისკოში (ამერიკა) გაფიცულია 150 ათასი მუშა-მოსამსახურე.
- — ამხ. ევდოკიმოვმა დაამყარა პარაშუტით ხანგრძლივი გადმოხტომის ახალი მსოფლიო რეკორდი.
- — საბჭოთა კავშირში მოფრინდნენ იტალიელი მფრინავები.
- — შირაქის საბჭოთა მეურნეობამ მოსავლის აღება 10 სამუშაო დღეში დაამთავრა.
- — მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამომუშავების გეგმა 16 ივლისს შესრულებული იყო 80,7 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ბერია—ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები სოციალიზმისათვის ბრძოლაში*)

დღევანდელი ამიერ-კავკასია სწრაფად მიემართება მრეწველობის განვითარების და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გზით.

ა.-კ. ს. ფ. რესპუბლიკის სოციალისტური ზრდა და აყვავება უზრუნველყო ლენინ-სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ.

რას წარმოადგენდა ამიერ-კავკასია წარსულში?

ლენინი ამიერ-კავკასიას უწოდებდა კიდევ უფრო გლეხურ ქვეყანას, ვიდრე რუსეთს.

ამ სიტყვებით განისაზღვრებოდა ა.-კ. ს. ფ. რესპუბლიკის, როგორც ცარიზმის ეკონომიურად და კულტურულად უაღრესად ჩამორჩენილი ნახევრადკოლონიის, მდგომარეობა წარსულში.

მხარის უმდიდრესი განძის — ნავთის, მარგანეცის, სპილენძის მადნის მტაცებლური ექსპლოატაცია, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ბატონობა სოფლად, რასაც ცარიზმი გულმოდგინედ იცავდა და რაც თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იყო დარჩენილი, — აი რა ახასიათებს ამიერ-კავკასიას წარსულში.

ახშობდა რა მასების უკმაყოფილებას, მეფის მთავრობა თავისი აგენტურის მეშვეობით ყოველნაირად აღვივებდა ბრძოლას ერთა შორის. მისი პოლიტიკა, რომლის პრინციპი იყო „დაყავი და იბატონე“, აღბეჭდილია დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის თარეშით, სისხლის ნაკადებით.

ამიერ-კავკასიის მრავალეროვან პროლეტარიატს დააწვა მძიმე და პასუხსაგები როლი თვითმპყრობელობასთან და კაპიტალიზმთან ბრძოლაში, დიდმპყრობელურ შოვინიზმთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან ბრძოლაში. მან სასახელო ფურცლები ჩაწერა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. იგი იცავდა ყველა ეროვნების მუშათა ინტერნაციონალური ძმობის ტრადიციას. მის სიღრმეში გამოიჭედა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდი — მისი ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნა და გამოიბრძმედა ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ნავთიან ბაქოს პროლეტარიატი ყოველთვის იყო მეფის რუსეთში რევოლუციური მოძრაობის პირველ რიგებში. მას სამართლიანად ეკავა ამიერ-კავკასიის პროლეტარების მოწინავე რაზმის გამძღოლი მდგომარეობა. ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში ტფილისის რკინიგზელთა კრებაზე 1926 წლის 8 ივლისს, შემდეგნაირად დაახასიათა ბოლშევიკური არალეგალობის სკოლა ამიერ-კავკასიაში:

„მე, მართლაც, ვიყავი და ვრჩები ტფილისის რკინიგზის სახელოსნოების მოწინავე მუშების ერთ-ერთი მოწაფე.

ნება მომეცით მივმართო წარსულს.

მე მაგონდება 1898 წელი, როცა პირველად ჩამაბარეს რკინიგზის სახელოსნოების მუშებისაგან შემდგარი წრე. ეს იყო 28 წლის წინათ... აქ, ამ ამხანაგთა წრეში, მე მაშინ, მივიღე პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. აქ, ამ ამხანაგთა წრეში, მე მაშინ გავხდი რევოლუციის მოწაფე, როგორც ხედავთ, ჩემი პირველი მასწავლებლები იყვნენ ტფილისის მუშები. ნება მომეცით გამოგიცხადოთ ახლა ჩემი გულწრფელი ამხანაგური მადლობა.

ორი წლის რევოლუციურმა მუშაობამ ნავთის მრეწველობის მუშებს შორის გამობრძმედეს როგორც პრაქტიკული მებრძოლი და ერთ-ერთი პრაქტიკული ხელმძღვანელი. ბაქოს ისეთ მოწინავე მუშებთან ურთიერთობაში, როგორიც იყვნენ ვაცეკი, სარატოველი და სხვა, ერთი მხრივ, და მუშებსა და ნავთის მრეწველებს შორის უდიდესი კონფლიქტების ქარიშხალში, მეორე მხრივ, მე პირველად გავიგე, თუ რას ნიშნავს ხელმძღვანელობა გაუწიო მუშათა დიდ მასებს. ამგვარად, ბაქოში მე მივიღე მეორე საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. აქ მე გავხდი რევოლუციის ქარგალი“.

ამხანაგ სტალინის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული რევოლუციური ბრძოლის მთელს ისტორიასთან ამიერ-კავკასიაში, ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიასთან. იგი მათი ფუძემდებელია. იგი აწყობს არალეგალურ კომიტეტებს, არალეგალურ სტამბებს ტფილისსა და ბაქოში. იგი ხელმძღვანელობას უწევს პირველი არალეგალური ფურცლების გამოშვებას, პირველ პოლიტიკურ გაფიცვებს, დემონსტრაციებს. იგი აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას მენშევიზმთან და დაუზოგავად ამხილებს მას. იგი აიარაღებს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს რევოლუციური თეორიით. იგი ლენინური ბოლშევიკურ პარტიულობის ყველაზე მტკიცე, ყველაზე ერთგული და თანამიმდევრული გამტარებელია. მისი მეცადინეობით ნავთიანი ბაქო ხდება ბოლშევიზმის მძლავრი ფორპოსტი კავკასიაში, ბოლშევიკური ორგანიზაციების ურყევი დასაყრდენი.

მენშევიკების, მუსავატისტების და დაშნაკების ბატონობის პერიოდი მათი ნაციონალისტური პოლიტიკით აღიბეჭდა აგრეთვე ეროვნული ხოცვაჟლეტით ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის.

„... ნაციონალისტურ მთავრობათა არსებობის სამ წელს საქართველოში (მენშევიკები) აზერბეიჯანში (მუსავატისტები), სომხეთში (დაშნაკები) ტყუილად არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, აწარმოებდნენ რა თავის ნაციონალურ პოლიტიკას, აღვივებდნენ რა მშრომელთა შორის აგრესიულ ნაციონალიზმს, დაბოლოს, იქამდის მივიდნენ, რომ თვითეული ეს პატარა ქვეყანა აღმოჩნდა მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალით გარემოცული, რამაც საქართველოს და სომხეთს მოაკლო რუსეთის პური და აზერბეიჯანის ნავთი, ხოლო აზერბეიჯანს და რუსეთს — ბათომით მომავალი საქონელი. მე უკვე არ ვლაპარაკობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (საქართველოს და სომხეთის ომი) და ხოცვა-ჟლეტაზე (სომეხ-თათართა შორის,), როგორიც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. გასაკვირი არ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ პირობებში ძველი ინტერნაციონალური ძაფები გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება აღმოჩნდა ნაციონალიზმის შხამით მოწამლული“,— ამბობდა ამხანაგი სტალინი 1921 წლის 6 ივლისს, მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში“ („ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წელი“, ზაკკნიგა, გვ. 9—10, 1932).

მენშევიკებმა, მუსავატისტებმა და დაშნაკებმა დაანგრიეს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა. ნავთის ამოღება, რომელიც 1913 წელს 446 მილიონ ფუთს შეადგენდა 1920 წელს დაეცა 175 მილიონამდე. მარგანეცის საერთო ამოღება შემცირდა 59 მილიონი ფუთიდან 7 მილიონამდე. ბამბის ნათესი, რომელიც 1913 წელს 139 ათას ჰექტარს უდრიდა, თითქმის სრულიად მოისპო და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის, სოციალისტური მშენებლობის 13 წელმა შესცვალა ამიერ-კავკასიის სახე. ქვეყანა, რომელსაც არავითარი მსხვილი მრეწველობა არ გააჩნდა, გარდა ნავთისა, დაიფარა ინდუსტრიალური კერების ქსელით.

ჩია, პატარა საგუბერნიო ქალაქი ელისავეტპოლი გადაიქცა საბჭოთა განჯად—საფეიქრო და ზედსახდელი მრეწველობის ცენტრად.

პატარა, მივიწყებული ქალაქი ნუხა გახდა აბრეშუმის მრეწველობის ცენტრი.

ლენინაკანი გადაიქცა საფეიქრო მრეწველობის ცენტრად.

ყოფილი დაბა ზესტაფონი საქართველოში ეუფლება საკავშირო მნიშვნელობის გიგანტს ფერომარგანეცის ქარხანას.

ტყვარჩელის ველურ ხეობებში წარმოებს ქვანახშირის მაღაროების მშენებლობა. მაღაროელები მზად არიან მოგვცენ ქვანახშირის პირველი პარტია.

ქუთაისი, იმერეთის თავადაზნაურობის ყოფილი ციხე-სიმაგრე, ქალაქი, სადაც, „გრანატის“ სიტყვარის მიხედვით, 1909 წელს სულ 202 მუშა იყო, გახდა საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრი. იგი აწვდის ნავთის მრეწველობას ბარიტს და გუმბრინს, რომელიც ცვლის „ფლორიდინს“, რაც ამერიკიდან შემოგვქონდა. მის საწარმოებში 30.000 მუშაზე მეტი მუშაობს. მის მიდამოებში აგებულია და უკვე ამუშავდა რიონის ჰიდროელსადგური (48 ათასი კილოვატი).

ერევანში, სადაც მეფის დროს მცხოვრებთა რიცხვი ძლივს აღწევდა 30.000 კაცს, რომლებიც ვიწრო ქუჩების მტვერში იხრჩობოდნენ, ამჟამად უკვე დაახლოებით 137.000 მცხოვრებია, იქ შენდება მთელი რიგი ახალი ქარხნები, აშენებს საკავშირო მნიშვნელობის გიგანტს—სინთეტიური კაუჩუკის კომბინატს. ქალაქში იგება ასფალტი. მის ქუჩებზე გაიარა ტრამვაიმ.

ტფილისი კავკასიის სამეფისნაცვლოს ყოფილი ადმინისტრატიული და სავაჭრო ცენტრი, ტფილისი, სადაც, რკინის გზის მთავარ სახელოსნოებს გარდა, არ იყო მსხვილი საწარმოები, ხდება ბაქოს შემდეგ ამიერ-კავკასიის მეორე ინდუსტრიალურ ცენტრად.

მაგრამ განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა ბაქო, რომელმაც შექმნა ნავთის ახალი სარეწაოები, მოწინავე სანავთო ტექნიკის ქარხნები და სადაც გაშენდა მუშათა სანიმუშო დაბები, ახალი სახლების მთელი კვარტალები, კულტურის სასახლეები, უამრავი პარკები და ბაღები.

ა.-კ. ფედერაციის მთელი მრეწველობის პროდუქცია სამჯერ და კიდევ უფრო მეტად სჭარბობს ომის წინადროინდელ პროდუქციას, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება —4-ჯერ და კიდევ უფრო მეტად. მეფის ჩამორჩენილი ნახევრადკოლონიიდან, წარსულში კიდევ უფრო გლეხური ქვეყნიდან, ვიდრე რუსეთი, ამიერ-კავკასია გადაიქცა ინდუსტრიალურ-აგრარულ მხარედ.

ელექტროფიკაციამ, ნავთმა, მარგანეცმა, ქიმიამ, ქვანახშირმა, მანქანათმშენებლობამ, საფეიქრო მრეწველობამ შესცვალეს ამიერ-კავკასიის სახე. დაჩქარდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესი. ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა (აზერბეიჯანი) გადაიქცა საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველომ მეორე ხუთწლედში „ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ“. ბრძოლა ამ ამოცანის შესრულებისათვის აღნიშნულია საგრძნობი წარმატებებით. თუ 1928 წელს ჩაის სულ 1900 ჰექტარი ეჭირა, 1933 წელს ჩაის პლანტაციების ფართობმა 33.325 ჰექტარს მიაღწია.

დიდი წარმატებები ახასიათებს ბრძოლას პარტიის მიერ სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ ციტრუსოვანი ნარგავების, გაფართოების შესახებ მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის.

დიდი წარმატებით ვითარდება თამბაქოს კულტურაც, რომელსაც ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

სამეურნეო წარმატებათა საფუძველზე, გლეხობისადმი სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საფუძველზე, მიმდინარეობს კოლექტივიზაციის ზრდა, მტკიცდებიან კოლმეურნეობები, უხსნიან რა კოლმეურნეებს გზას შეძლებული, კულტურული ცხოვრებისაკენ.

ამიერ-კავკასია პრიმიტიული პატრიარქალური მიწათმოქმედების მხარიდან გადაიქცა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ტრაქტორებით, მოწინავე აგროტექნიკით შეიარაღებული მოწინავე სოფლის მეურნეობის მხარედ.

ა.-კ. ფედერაციის რესპუბლიკებში სამეურნეო მშენებლობის წარმატებებს ახასიათებს საგრძნობი მიღწევები კულტურისათვის, „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურისათვის“ ბრძოლაში: გატარდა საყოველთაო დაწყებითი სწავლება. იზრდება საბავშვო დაწესებულებათა, სკოლების და კულტურული კერების ქსელი ქალაქად და სოფლად. რამდენიმე ათეულმა უმაღლესმა სასწავლებელმა და უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა ამიერ-კავკასიის მრეწველობას და სოფლის მეურნეობას უკანასკნელ წლებში უკვე მისცეს ინჟინრები, აგრონომები და მასწავლებლები ადგილობრივ ეროვნებების მუშათა, კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა წრიდან. ეროვნულ ენებზე ითარგმნება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. აყვავების გზას დაადგა ხელოვნება: ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა და მხატვრობა. მტკიცდება ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა ინტერნაციონალური მთლიანობა.

⁂

ამიერ-კავკასიაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებები შესაძლებელი გახდა მხოლოდ პარტიის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების საფუძველზე.

1921 წელს „კავკასიის კომუნისტებისათვის მიცემულ დირექტივებში“ ლენინი წერდა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მჭიდრო კავშირი „შექმნის ბურჟუაზიის დროს უმაგალითო და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელ ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს“. ლენინის ეს მითითება ხორციელდებოდა შეურიგებელ ბრძოლებში ნაციონალიზმის და ნაციონალური უკლონიზმის წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ამიერ-კავკასია, წარმოადგენს რა დიდი საბჭოთა კავშირის განუყრელ ნაწილს, დიდად განსხვავდება სხვა მხარეებისაგან თავის ბუნებრივ პირობების სიჭრელით, მის წიაღში დამალულ სიმდიდრეთა უდიდესი მრავალფეროვანებით, ეროვნულ ურთიერთობათა ურთულესი კვანძით, თავისი სანაპირო მდგომარეობის თავისებურობებით.

ამიერ-კავკასიაში ცხოვრობს ათობით სხვადასხვა ხალხი: ქართველები, თურქები, სომხები, რუსები, ქურთები, ბერძნები, აფხაზები, ოსები, აჭარლები, ებრაელები, ტალიშები, სპარსელები, ლეკები და ბევრი სხვა, რომლებიც სულ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ადათებით ხასიათდებიან. ხალხების, ენების და, კილოკავების სიჭრელე წარმოადგენს მრავალ ერიან ამიერ-კავკასიის ისეთსავე თავისებურობას, როგორც მისი სახალხო მეურნეობის რთული კომპლექსი. ყოველივე ამას არ შეეძლო არ შექმნას ერთგვარი სირთულე ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ.-ში მუშაობის პირობებში, მუშაობის, რომელიც მოითხოვს ამ პირობების თავისებურებათა გათვალისწინებას.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ხალხთა თანამშრომლობის იმ ფორმას, რომლითაც უზრუნველყოფილია მხარის სოციალისტური მშენებლობის სწორი ხელმძღვანელობა და ყველა ამ თავისებურობათა გათვალისწინება.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელიც შესდგება სამი რესპუბლიკისაგან (საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი) წარმოადგენს სამწევრიან ფედერაციას. სამ ძირითად რესპუბლიკაში შედის კიდევ 5 ავტონომიური რესპუბლიკა და ოლქი.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია იშვა, გაიზარდა და განმტკიცდა გააფთრებულ შეტაკებებში ნაციონალ-უკლონიზმთან, რომელიც ცდილობდა ჩაეშალა მისი შექმნა, მისი პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცება.

მე-12 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც იძლევა ამიერ-კავკასიაში ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრისათვის ბრძოლის ამოცანების ღრმა ანალიზს, ამხ. **სტალინი** ლაპარაკობდა:

„საჭიროა ჩვენის მხრით ნამდვილი სისტემატიური, გულწრფელი, ნამდვილი პროლეტარული დახმარება კულტურულად და სამეურნეო მხრით ჩამორჩენილ ეროვნებათა მშრომელი მასებისადმი, საჭიროა რომ, სკოლებისა და ენის გარდა, რუსეთის პროლეტარიატმა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რათა განაპირა მხარეებში, კულტურულად ჩამორჩენილ რესპუბლიკებში,—ისინი კი ჩამორჩნენ არა თავიანთი მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ მათ წინად უყურებდნენ, როგორც ნედლეულის წყაროებს,—მიღწეულ იქნეს ის, რომ ამ რესპუბლიკებში მოეწყოს მრეწველობის კერები“[1].

პროლეტარულმა დახმარებამ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი მხარის ინდუსტრიალიზაციაში, ამიერ-კავკ. რესპუბლიკების ძლიერების განმტკიცებაში, ა.-კ. ფედერაციის განმტკიცებაში. ამიერ-კავკასიაში წარმოშობილ სამრეწველო კერებში გაიზარდნენ პროლეტარების კადრები ადგილობრივ მკვიდრ ეროვნებებისაგან.

ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რომელიც აფერხებდა რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ კავშირში, იყო შოვინიზმი და ნაციონალიზმი.

იმავე სიტყვაში ამხ. სტალინი ლაპარაკობდა:

„საბჭოთა ხელისუფლებას რომ ვერ მოეხერხებია ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის ორგანოს შექმნა, რომელსაც შეეძლო მოაწესრიგოს შეხლა-შემოხლა და კონფლიქტები, ჩვენ დავბრუნდებოდით ცარიზმის ეპოქას ან დაშნაკების მუსავატისტების, მენშევიკების ეპოქას, როცა ადამიანები სწვავდნენ და ჟლეტდნენ ერთმანეთს“[2].

ის გზა, რომლისკენაც ჩვენ მიგვყავდით ნაციონალ-უკლონისტებს, მოასწავებდა „მთელი ჩვენი პოლიტიკისა და საბჭოთა ხელისუფლების უეჭველ სიკვდილს კავკასიაში“.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა საბოლოოდ გაანადგურეს შოვინიზმი, ნაციონალიზმი, ნაციონალ-უკლონიზმი, ტროცკიზმი, გაშალეს უდიდესი მუშაობა ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკურ განმტკიცების დარგში, შექმნეს ყველა აუცილებელი პირობა მისი შემდგომი სამეურნეო-კულტურული განვითარებისათვის.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1929 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების წინაშე დასვა ამოცანა—მთელი ძალღონე წარემართათ ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო-სოციალისტური მშენებლობისაკენ, მათი ინდუსტრიალიზაციისაკენ, სოფლის მეურნეობის ტექნიკური და სოციალისტური გარდაქმნისაკენ, წინადადება მისცა რა მათ „განმტკიცებინათ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზა, გაეხორციელებინათ ამიერ-კავკასიის მთელს სამეურნეო მშენებლობაში ნამდვილი ხელმძღვანელობა“. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს ამავე დროს „ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი ნაციონალური რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლას“.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ეს უმნიშვნელოვანესი მითითება გახდა სახელმძღვანელო დირექტივა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მთელს მუშაობაში, მაგრამ შემდეგ ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მიერ დაშვებულ იქნა შეცდომები ნაციონალურ საკითხში. გლეხობის ძირითადი მასების პოლიტიკური ხელმძღვანელობის საკითხში, აგრეთვე არ იყო პარტიული ორგანიზაციის ბოლშევიკური დარაზმულობა.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული ცენტრალიზაცია ამიერ-კავკასიაში, რასაც ადგილი ჰქონდა, გამოხატავდა უუნარობას შეეთვისებინათ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების განმტკიცება ა.-კ. ს.ფ.ს. რ.-ში შემავალი რესპუბლიკების ინიციატივის და თვითმოქმედების მაქსიმალურ გაშლასთან.

უპრინციპო ჯგუფობრივი ბრძოლა „ატამანობა“, ადამიანთა განაწილება არა საქმიანი პრინციპის მიხედვით, პარტიული დისციპლინის და პასუხისმგებლობის გრძნობის დაცემა—აი რა ახასიათებდა მაშინ საქმეთა ვითარებას ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციაში.

პარტიულმა ხელმძღვანელობამ დაუშვა მთელი რიგი დამახინჯებანი, და „მემარცხენე“ გადახვევები გლეხობის საკითხში. ამიერ-კავკასიაში, კერძოდ საქართველოში 1931 წელს არსებული შეცდომები იყო ტლანქი ადმინისტრირება, კოლექტივიზაციის გაბერილი ციფრებისათვის გამოდევნება და ამიერ-კავკასიაში საბჭოთა კავშირის მარცვლეულის მომწოდებელ რაიონების გამოცდილების მექანიკური გადმოტანა. ეს მთელი სიცხადით გვეუბნება, რომ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა მაშინ არ გამოიყენეს დასკვნები საქართველოს 1924 წლის გაკვეთილებიდან.

ამხანაგ სტალინის გამოსვლაში სოფლის უჯრედების მდივანთა თათბირზე მოსკოვში 1924 წელს მოცემული იყო ამიერ-კავკასიაში გლეხობის სწორი ხელმძღვანელობის ორგანიზაციის პოლიტიკური პროგრამა. ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„გაზეთებში ჩვენთან წერენ ბუტაფორულ გამოსვლებზე საქართველოში. ეს მართალია, ვინაიდან საერთოდ აჯანყება საქართველოში იყო ხელოვნური, არა სახალხო. მაგრამ ზოგ ადგილას მენშევიკებმა შესძლეს, მასასთან კომპარტიის ცუდად დაკავშირების გამო, ჩაებათ ამ გლეხობის მასის ნაწილი აჯანყებაში. დამახასიათებელია, რომ ამ ადგილებში კომუნისტური ძალები ყველაზე მეტად მოიპოვებიან. ამ ადგილებში შედარებით ბევრად უფრო მეტი კომუნისტია, ვიდრე დანარჩენებში. და აი სწორედ აქ ადამიანებს გამოეპარათ, ვერ შეამჩნიეს, ვერ შენიშნეს, რომ გლეხთა შორის მღელვარებაა, რომ გლეხები რაღაცასთვის ემზადებიან, რომ მათში უკმაყოფილებაა, რომ იგი დღითი-დღე გროვდება, ხოლო პარტიამ ამაზე არაფერი არ იცოდა...“.

„როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს შეუსაბამობა? უბრალოდ — კომუნისტებმა ვერ შესძლეს ლენინურად მიდგომოდნენ გლეხებს, ნდობის ატმოსფეროს მაგივრად შექმნეს ურთიერთი უნდობლობის ატმოსფერო და, ამგვარად, მოწყვიტეს პარტია უპარტიო გლეხებს“.

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების შეცდომები ჩამარხული იყო იმაში, რომ პარტორგანიზაციები არ ყოფილან საკმაოდ დაკავშირებული გლეხობის მასებთან და „აღმოჩნდნენ უპარტიო გლეხობის განწყობილებას, ზრახვებს და იმედებს მოწყვეტილი“.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა ეს შეცდომები გამოასწორეს მხოლოდ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პირადად ამხანაგ სტალინის ენერგიული ჩარევის და დახმარების მეოხებით. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებისათვის იყო ისტორიული დოკუმენტი ბოლშევიკური მოქმედებისა ჩადენილი შეცდომების გამოსწორებისათვის ბრძოლაში.

შეცვლილ იქნა ა.-კ. პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში დაირაზმა ამიერ-კავკასიის ყველა საუკეთესო ბოლშევიკი. პარტორგანიზაციებმა დარაზმეს თავისი ძალები დაჟინებითი და შეუპოვარი მუშაობისათვის, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ამასთან მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს დეკლარატიულობას, სიტყვების რახა-რუხს და ხელებ დაკარწახებულნი შეუდგნენ თავსამტვრევ, ყოველდღიურ მუშაობას.

მტკიცდება კავშირი მასებთან. იცვლება სტილი პარტორგანიზაციების მუშაობაში. ტარდება უდიდესი მუშაობა თვით პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების, პარტიული კადრების სწორად განაწილების მხრივ. ყოველივე ამან ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს მრავალი წარმატება შესძინა საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში.

პარტიის გენერალური ხაზისათვის **ამხანაგ სტალინის** მითითებათა შესრულებისათვის ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელებმა შექმნეს და განამტკიცეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია — ნამდვილი ნაციონალური მშვიდობიანობის მძლავრი დასაყრდენი, საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის საზღვრებზე პროლეტარული რევოლუციის ფოლადისებური ფორპოსტი.

⁂

ბაქოს ნავთის სარეწაოები, მათი უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აწმყოში და ბრწყინვალე მომავალი წარმოადგენენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაუშრეტელ ბუნებრივ სიმდიდრეთა მკვეთრ გამოსახულებას.

ბაქო აღმოსავლეთის მიჯნაზე, ახალი სავაჭრო გზების ისტორიულ გზა-ჯვარედინზე. ბაქო, რომელიც უშუალოდ გაჰყურებს დამონებულ, შინაგანი წინააღმდეგობებით დაავადებულ აღმოსავლეთს, აღმართულია ვით სალი კლდე, როგორც ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების უბრწყინვალესი დადასტურება.

ნავთი მუდამ იყო საერთაშორისო ძალა და ბაქო მისი უდიდესი ნავთის სიმდიდრეებით წარმოადგენდა ყველა დროის დამპყრობელთა და ხალხთა, კაპიტალიზმის მტაცებელთა გემრიელ ლუკმას.

„ბაქო, ხოლო ბაქოში ნავთია“—ჩაიწერა თავის სამოგზაურო დღიურში არაბეთის ძველმა გეოგრაფმა მასუდიმ, რომელიც ჩამოვიდა ბაქოში ევროპულ წელთაღრიცხვის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე.

„ეს ბაქო მდიდარია საუკეთესო ხარისხის ნავთით“—წერდა პეტრე პირველი, როცა იგი ადგენდა „სპარსების მიწებისაკენ“ რუსის ჯარის წინსვლის გეგმას.

ბაქოს ნავთის სიმდიდრეები უძველესი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ მათი ფართო სამრეწველო დამუშავება დაიწყო ამ ნახევარ საუკუნეზე ცოტა უფრო წინ.

ბაქოს პირველი კოშკი დაიდგა 60-იან წლების დამლევს, მაგრამ ბაქომ, როგორც ნავთის ქალაქმა, ბურჟუაზიული კვარტალების თვალწარმტაცი სიმდიდრის და მუშათა დაბების საშინელი სიღატაკის ქალაქმა, მსოფლიო სახელი მოიხვეჭა მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ამოხეთქა ბალახნის და ბიბი-ეიბათის მძლავრმა შადრევნებმა.

ნავთის 200-ზე მეტი საზოგადოება ეპატრონებოდა ოქტომბრამდელ ბაქოს. ნობელებმა, მანთაშევებმა, როტშილდებმა, გუკასოვებმა, ლიანოზოვებმა, ნაგიევებმა, ასადულაევებმა, მუხტაროვებმა და სხვ. მილიონობით ქონება შეიძინეს ნავთზე. მტაცებლური ექსპლოატაცია, ნავთის ამოღების და ბურღვის პრიმიტიული ტექნიკა, ბარბაროსული მილი, ქანების ბლაგვად ამოტეხვა ბაგირზე დაკიდებული სატეხით, მძიმე შრომა ჭაბურღილებში, მიწის წიაღის ექსპლოატაციის არარაციონალური მეთოდები—აი რა ახასიათებდა ნობელების, მანთაშევების და სხვების სარეწაოებს.

რევოლუციამ ბაქო სოციალიზმის სამსახურში დააყენა.

ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა წინაშე, რომლებმაც 1920 წელს განდევნეს ნავთის მრეწველები, მუსავატელები და ინგლისელი ინტერვენტები, დასახულია უდიდესი ამოცანები — დაეუფლონ ნავთის მეურნეობის ხელმძღვანელობას და ტექნიკას და გადააქციონ ნავთის მრეწველობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგად.

უკვე 1925 წელს ბაქომ თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი ძველი სახე. აზნავთის საუკეთესო ინჟინრები იყვნენ ამერიკაში და მათ იქიდან ნავთის წარმოების მოწყობის უძვირფასესი გამოცდილება ჩამოიტანეს. სარეწაოებში. გაჩნდა პირველი ღრმა ტუმბოები, ბრუნვითი ბურღვის პირველი ჭაბურღილები, დაიწყო ჭაბურღილების ელექტროფიკაცია, შეიქმნა ნავთის გადამამუშავებელი ახალი მძლავრი საწარმოები.

ომამდელ, 1913 წელთან შედარებით თითქმის ერთისამად გაიზარდა ექსპლოატაციაში მყოფი ჭაბურღილების რიცხვი, სარეწაოები მთლიანად გადავიდნენ ბრუნვით ბურღვაზე და დახურულ ექსპლოატაციაზე, გაიშალა ახალი ფართობების და ღრმად მდებარე ქანების დამუშავება.

აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობას ახლა თითქმის არაფერი აქვს საერთო ძველ კაპიტალისტურ სარეწაოებთან. საბჭოთა ხელისუფლებამ თითქმის სრულიად ხელახლა შექმნა ჩვენი ქვეყნის ნავთის მოწინავე მრეწველობა. ეს მიღწეულ იქნა იმის წყალობით, რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი და პირადად ამხანაგი სტალინი სისტემატიურად ხელმძღვანელობდენ ნავთის მრეწველობას და ეხმარებოდენ მას მუშაობაში.

პირველი ხუთწლედი ნავთის მუშებმა შეასრულეს ორნახევარ წელიწადში.

მეორე ხუთწლედი ბაქოელებმა დაიწყეს ამოღების შემდგომი გადიდებით და ნაკლებად გამოკვლეულ ნავთიან ფართობებზე ახალი შეტევით. ნავთის მსოფლიო მრეწველობისათვის უცნობი ტემპებით, ერთ წელზე ნაკლებს ხნის განმავლობაში შეიქმნა ორი უდიდესი სარეწაო: ლოკბატანი და კალა და მომზადებულია საექსპლოატაციოთ მთელი რიგი ახალი ფართობები. წინ წავიდა სარეწაოთა ტექნიკური შეიარაღება.

მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა აზნავთმა გადაჭარბებით შეასრულა (15.325 ათასი ტონა).

1934 წლის გეგმაა 22 მილიონი ტონა, ე. ი. იმაზე სამჯერ მეტი, რასაც ბაქო ომამდე იძლეოდა, და 1933 წლის გეგმაზე 46 პროცენტით მეტი. ეს გეგმა უეჭველად, რეალურია და შედგენილია ბაქოს ყველა უმდიდრესი შესაძლებლობის გათვალისწინებით. მაგრამ ამოღების ამ გეგმის შესასრულებლად საჭიროა სამრეწველო აპარატის საათივით ზუსტი და მწყობრი მუშაობა, ნავთის მეურნეობის დაჩქარებული ტექნიკური რეკონსტრუქცია და ბურღვის და ექსპლოატაციის მეთოდების გაუმჯობესება.

სარეწაოების ახლანდელი ჩამორჩენა მოწმობს პირველ რიგში იმას, რომ აზნავთი სუსტად მოემზადა 22 მილიონი ტონისათვის საბრძოლველად და რომ მისი აპარატის მუშაობა ჯერ კიდევ არ არის სავსებით შეფარდებული ახალ უზარმაზარ სამეურნეო ამოცანებთან.

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა, რომელიც შეუჩერებლად ადევნებს თვალყურს სარეწაოთა მუშაობას და ოპერატიულად ეხმარება მათ გადალახონ სიძნელეები, დაამუშავა აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-თან და ბაქოს კომიტეტთან ერთად აზნავთის გარდაქმნის პროგრამა გეგმის შესასრულებლად —22 მილიონი ტონის მისაღებად. გარდაქმნის ეს პროგრამა მოიწონა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება აღნიშნავს, რომ აზნავთმა და ბაქოს პარტიულმა ორგანიზაციამ, ნავთის მრეწველობის ტექნიკური შეიარაღების გადიდების, ხელმძღვანელ სამუშაოზე სპეციალისტ ახალი კადრების დაწინაურების და ნავთისათვის საბრძოლველად მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მობილიზაციის შედეგად, რაც ჩატარდა აზნავთის ყოფილი გაერთიანების დანაწილების შესახებ ც. კ-ის გადაწყვეტილების საფუძველზე, — თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. აღნიშნა რა ეს წარმატებანი (ამოღების ზრდა გასულ წელთან შედარებით 46.5 პროცენტით და ბურღვისა—67,5 პროცენტით), საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა დასახა ბაქოს სარეწაოების შემდგომი აღმავლობის გზები.

ჩვენი ამოცანებია: ბურღვის სამუშაოების — აზნავთის ამ ყველაზე უფრო ჩამორჩენილი უბნის — მთელი ფრონტის გადაჭრით წინწაწევა; ბურღვის სიჩქარის გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება, მოწინავე ტექნიკის შემდგომი დანერგვა ნავთის მეურნეობაში, ნავთის მოწყობილობის ახალი ნიმუშების მასობრივი წარმოების ორგანიზაცია, არსებული ტექნიკურ რესურსების უკეთესად გამოყენება, პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერება საწარმოებში და ცენტრალური და სარეწაოთა აპარატების მუშაობის გარდაქმნის დამთავრება.

აზნავთის გარდაქმნის ძირითადი აზრი გამოიხატება იმაში, რომ უფრო მართებულად ავაგოთ სარეწაოთა სამართველოები, განვამტკიცოთ ექსპლოატაციის და ბურღვის ჯგუფები, გავხადოთ ისინი სისხლჭარბა სამეურნეო რგოლებად, უფრო გაბედულად გადავიყვანოთ სპეციალისტები აპარატებიდან ჯგუფებში წარმოებაში, გავადიდოთ ბურღვის ოსტატის როლი და პასუხისმგებლობა, გავხადოთ იგი ჭაბურღილის ნამდვილ პატრონად.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, ბაქოს ნავთის მრეწველობის ყველა მუშაკს შეგნებული აქვს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც დაკისრებული აქვთ მათ 22 მილიონი ტონა ნავთის ამოღების გეგმით, და ისინი მთელ ძალღონეს იკრებენ პარტიის ამ დავალების შესასრულებლად.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანები არამარტო შევასრულოთ ამოღების გეგმა 1934

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

---

*) ამხ. ლ. ბერიას წერილი დაბეჭდილია მოსკოვის „ბოლშევიკის“ უკანასკნელ (11) ნომერში

რედ.

[1] სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“. გვ. 117, პარტგამომცემლობა 1934 წ.

[2] იქვე, გვ. 119—120

ლ. ბერია—ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები სოციალიზმისათვის ბრძოლაში

წელში, არამედ ამასთან ერთად მოვამზადოთ პირობები ნავთის მრეწველობის შემდგომი ზრდისათვის.

აფშერონის ხვალინდელი დღე დღეს უნდა მომზადდეს—ამაზეც მუშაობენ ბაქოელი ბოლშევიკები და ბაქოს ნავთის მრეწველობის ყველა მუშაკი.

აფშერონს ბრწყინვალე პერსპექტივები აქვს. ჩვენ ვფლობთ უმდიდრეს ნავთიან ფონდებს, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ნავთით ჩვენი ქვეყანა მრავალი ხუთწლედის განმავლობაში.

უკვე წელს იწყება ახალი ფართობების—ქეირდახანის, სულუ-ტეპეს და ზიხის სამრეწველო ექსპლოატაცია.

1935 წელს საბჭოების ქვეყნის მომქმედ ნავთიან ფონდს უნდა მიემატოს აგრეთვე მთელი რიგი ახალი რაიონები: მარდაკიანი, ტურკიანი, შონგარი, კარგუზ და აფშერონის სანაპირო ზოლის ცალკეული უბნები.

აზნავთის გეოლოგების მეცადინეობით, რომელთა როლი ნავთისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდია, გამორკვეულია, რომ მთელი აფშერონის ნახევარკუნძული წარმოადგენს ნავთის ისეთ რეზერვებს, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება.

აზერბეიჯანის ნავთის საერთო მარაგი განისაზღვრება მილიარდნახევარ ტონაზე მეტით. გამოვიყენოთ ეს უდიდესი სიმდიდრე სოციალიზმის ინტერესებისათვის — ასეთია ჩვენი ამოცანა დღეს და ხვალ.

⁂

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და **ამხანაგ სტალინის** მიერ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების წინაშე უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებია დაყენებული მხარის სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში.

ერთი გუთანი 15 კომლზე, ერთი სახნისი სამ მეურნეობაზე—აი ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის „ტექნიკური შეიარაღება" 1920 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამდე. მოსავლის ნახევარზე მეტს ეპატრონებოდა მემამულე მიწის იჯარისათვის, მიწის ნაკვეთებზე წყლის გაშვების უფლებისათვის, დარჩენილი მოსავლის საგრძნობი ნაწილი მიჰქონდა კულაკს გუთნით, ხარ-კამეჩით სარგებლობისათვის, თესლისათვის მიწა მწირი იყო, ცოტა მოსავალს იძლეოდა. კოლოსალური ბუნებრივი შესაძლებლობანი გამოუყენებელი რჩებოდა.

უხვმა ბუნებამ ამიერ-კავკასიაში შექმნა ყველა პირობა ისეთი კულტურების წარმატებით გაშენებისათვის, რომლებითაც ამაყობენ იაპონია და ჩინეთი, ინდოეთი და ტასმანია, ახალი ზელანდია და სამხრეთ ამერიკა, ფლორიდა და კალიფორნია. მაგრამ ციტრუსებს აჭარისტანში 1913 წელს ეკავა მხოლოდ 260 ჰექტარი ფართობი ათჯერ ნაკლები ფართობი ვიდრე 1933 წ. და ორჯერ ნაკლები ა.-წლის გაზაფხულს გაშენებულ ფართობზე. 1933 წელს ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზარდა 33 ჯერ.

ამჟამად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მცენარეები წარმოდგენილია ამიერ-კავკასიაში: ამერიკის და ეგვიპტის ბამბა, ჩაი, თამბაქო, აბრეშუმი, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, ლიმონის და ფორთოხლის ფრიად ორიგინალური ნარევი; რამი, რომლის ბოჭკოდან მზადდება ელასტიურობის და სიმაგრის მხრივ უბადლო აბრეშუმის ქსოვილი; მრავალი ათეული სხვადასხვა პალმა, ბზა, რომლის მერქანი ასე დიდად ფასობს, ბამბუკი, რომლისაგან შეიძლება ყველაფერი გაკეთდეს—უზარმაზარი ანძებიდან დაწყებული ლამაზ პატარა-პატარა ნივთებამდე; ვენახი, იშვიათი ხილი—ტკბილი ხურმა, ნარნარი ხორციანი ფეიხოა, მუშმალა, ახონა, რომლის ნაყოფს უწოდებენ ხეზე მზარდ ნაყინს; ფისტული, უცნაური არაუკარია, უხვი სუბტროპიკული კარტოფილი; ტუნგის ხე, რომელიც იძლევა სპეციალურ ძვირფას ზეთს; ლაქის ხე, მისი ზეთიდან ამზადებენ ლაქებს, რომელიც სწრაფად შრება და არ ემორჩილება არც ნაცარტუტას, არც ლიმონის მჟავას გავლენას; ევკალიპტები; ლიმონის სორგო და ლიმონის ვერბენა, რომლებიც იძლევიან ლიმონის მჟავას; გერანი და სხვა ეთეროზეთები—ძირითადი ნედლეული პარფიუმერიის მრეწველობისათვის, ახალი ზელანდიის სელი და დრაცენა, რომლებისაგან ამზადებენ საქსოვ ბოჭკოს; ქაფურის დაფნა, ქინაქინის ხე, კორპის ხე; კაუჩუკიანი მცენარეები. ძნელია ჩამოთვლა ყველა ძვირფას და იშვიათ მცენარეს, რომლებიც ამიერ-კავკასიაში ხარობს. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები იბრძვიან ამ ძვირფასეულ კულტურათა ფართო სამრეწველო გაშენებისათვის.

აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მთის კალთებზე გადაჭიმულია ალპიური საძოვრები. აქ შეიძლება მივიღოთ ძვირფასი შვეიცარული, ჰოლანდიური და ბაქშტეინის ყველის მიღება; მოიპოვება ყველა პირობა მაღალჯიშიანი პირუტყვის: შვიცების და სიმენტალების განვითარებისათვის.

ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ირიგაცია.

გაყვანილია ახალი რეკონსტრუირებული და მექანიზირებულია ძველი სარწყავი ქსელი. მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სარწყავი ფართობის ოდენობა 230 ათასი ჰექტარით გადიდდა. ორჯონიკიძის სახელობის არხმა მორწყო 33 ათასი უწყლო, მშრალი მიწა; უდიდესი საირიგაციო სამუშაოები ჩატარდა მუგანის ველებზე, მექანიზებულია მტკვრის ზოლის მორწყვა, [illegible] მიდის წყალი ალაზნის, ტირიფონის, კორსკის, სარდარაბადის სისტემების არხებში.

ახალი კულტურები იპყრობენ ახალ ფართობებს. ახლა წარმოებს ჭაობების დაშრობა კოლხიდის დაბლობებში, „მწვანე კოლხიდაში", რომელიც მთლიან ჭაობს და ავი მალარიის კერას წარმოადგენდა. აქ წარმოებს თავისი მასშტაბებით განსაკუთრებული სამუშაოები—მიწის, სამელიორაციო და სხვა სამუშაოები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ 214 ათას ჰექტარ ჭაობიან ფართობზე გავაშენოთ ძვირფასი კულტურები, პირველ რიგში კი—ციტრუსოვანი კულტურები, იცვლება რაიონის კლიმატი. რაიონი [illegible] შავ ზღვას ფოთის არა სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ ნაწილში, ეს უდიდესი სამუშაოა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჭაობებს ხელიდან გამოგლიჯეს და უკვე აითვისეს 5.300 ჰექტარი, ამასთან აქ შესრულებულია 1.750 ათასი კუბომეტრი მიწის სამუშაოები. 1934 წლის დამლევისათვის კოლხიდმშენის მიერ ათვისებული მიწების ოდენობა უკვე 14.600 ჰექტარს უდრის. კოლხიდა აყვავებულ ბაღად გადაიქცევა.

1933 წლის შედეგები და მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოების შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ როგორ წარმატებებს მიაღწიეს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა უკანასკნელი 2—3 წლის მანძილზე საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე 7,6 ცენტნერიდან 1933 წელს 9 ცენტნერამდე გადიდდა, ბამბის—3,7-დან (1930 წ.) 6,7 ცენტნერამდე, ჩაის—701-დან 803 კილოგრამამდე, თამბაქოს—5,4-დან 6,8 ცენტნერამდე.

ამიერ-კავკასია გადაიქცა საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად და ხდება ეგვიპტის ბამბის უმნიშვნელოვანეს ბაზად. ბამბის მთავარი მასივები აზერბეიჯანშია.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჩაი მთავარ კულტურად გადაიქცა. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში 14 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციების გაშენებით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა საფუძველი ჩაუყარეს საზღვარგარეთისაგან საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას ჩაის მხრივ. დიდი მუშაობა ჩატარდა მოუვლელი პლანტაციების რემონტის და აღდგენის საქმეში.

ჩაის მოსავლის გადამუშავება 21 ფაბრიკაში სწარმოებს. მიმდინარე წელს დაიწყო 4 ფაბრიკის მშენებლობა. მთელი რიგი ფაბრიკები სავსებით დაეუფლნენ ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნიკას და იძლევიან ისეთ პროდუქციას, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთულ პროდუქციას.

დამზადებული თამბაქოს ხარისხის მხრივ ამიერ-კავკასიას პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში, ხოლო ოდენობის მხრივ იგი მხოლოდ ჩრდილოეთ-კავკასიას ჩამორჩება.

1932 წელს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის უშუალო დახმარებით ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი მეთამბაქოეობის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგად, მიუხედავად ნათესი ფართობის შემცირებისა, თამბაქოს მოსავალი გაიზარდა: 1931 წელს იგი შეადგენდა საქართველოში 11.327 ტონას, 1932 წელს—12.377 ტონას, 1933 წელს 15.500 ტონას.

ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ციტრუსოვანი კულტურების განვითარებას. პლანტაციების და ნარგავების მოვლის გაუმჯობესების, მოსავლიანობის გასადიდებლად მთელი რიგი ზომების გატარების შედეგად, 1933 წელს მივიღეთ 100 მილიონზე მეტი ციტრუსოვანი ნაყოფი. ამჟამად გაშენებულია ახალი ნარგავები, ფართოდ განვითარებულია სანერგეები. მთელი მუშაობა ამ დარგში მიმდინარეობს ლოზუნგით—მივცეთ ჩვენს ქვეყანას 1933 წ. ნახევარი მილიარდი ციტრუსოვანი ნაყოფი. ამჟამად ციტრუსოვანი ნარგავები ვრცელდება დასავლეთ საქართველოს რაიონებში და ნაწილობრივ აზერბეიჯანის კასპიის ზღვის სანაპიროს სამხრეთ ნაწილში. მანდარინა და ფორთოხალი ფუფუნების საგნებიდან ხდება მასობრივი მოხმარების პროდუქტები.

ციტრუსოვნებთან ერთად მატულობს დანარჩენ სუბტროპიკულ კულტურათა ფართობი. კერძოდ, დიდი რაოდენობით გაშენებულია ევკალიპტის და ტუნგის ახალი ნარგავები.

1930 წელს ამიერ-კავკასიაში იყო 6 სამანქანო-სატრაქტორო სადგური. 1933 წელს მათი რაოდენობა აყვანილ იქნა 67-დე და სატრაქტორო პარკის სიმძლავრე შეადგენდა 29.000 ცხენის ძალას, 1934 წლის გაზაფხულზე ა.-კ. ს.ფ. რესპუბლიკაში უკვე მუშაობდა 81 სამ. სატრ. სადგური და სატრაქტორო პარკის სიმძლავრე უდრიდა 36.720 ცხენის ძალას. სამ.-სატრ. სადგურების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი რამ მოუწყობელია და ბევრი უვარგისობაა. 1934 წელს ამიერ-კავკასიის სამ.-სატრ. სადგურების წინაშე დასმულია ამოცანა—გახდნენ სანიმუშონი: მათ მოეთხოვება ტრაქტორის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკის მთლიანად დაუფლება, ყველა მანქანის სრული სიმძლავრით გამოყენება, მუშაობის მაღალი ხარისხი, საწვავი მასალის მომჭირნეობით ხარჯვა. სრული რენტაბელობა. მეურნეობის და მუშათა ყოფა-ცხოვრების კულტურულად მოწყობა. სამ.-სატრ. სადგურები ზუსტად და უნაკლოდ უნდა მუშაობდნენ.

სოფელმა მიიღო კომბაინები, რთული სალეწი მანქანები, ბამბის ამკრეფი და სხვა მანქანები.

მოწინავე ტექნიკის დანერგვამ, ორგანიზატორულმა და მასობრივმა პოლიტიკურმა მუშაობამ, რომელიც გაშალეს პარტორგანიზაციებმა და პირველ რიგში სამ.-სატრ. სადგურების პოლიტგანყოფილებებმა, ბრძოლამ კულაკის და მისი აგენტურის წინააღმდეგ უზრუნველყვეს მოსავლიანობის და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდება, უზრუნველყვეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება. ისეთი კოლმეურნეობანი, სადაც გასულ წელს შემოსავალი შრომადღეზე 10,12 და უფრო მეტ კილოგრამ მარცვლეულს უდრიდა, გამონაკლისი როდია. ამიერ-კავკასიის კოლმეურნეები მტკიცედ მიდიან შეძლებულ ცხოვრებისაკენ.

ა.-წ. გაზაფხული ჩატარდა თესვის სამუშაოთა მაღალი ხარისხისა და მოკლე ვადებისათვის ბრძოლის ნიშნით, თესვის წარმატებით ჩატარებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, გამოცდილების მასობრივმა გაზიარებამ, საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობდა შეჯიბრებაში პირველობის მოსაპოვებლად კოლმეურნეობათა ბრიგადების ბრძოლის ნიშნით, სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართოდ გაშალა ამიერ-კავკასიის სოფლების საზღვრები. ამიერ-კავკასიის მოწინავე დამკვრელ კოლმეურნეთა ინიციატივით, რომლებიც ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში მოწინავე ბეზენჩუკის სამ.-სატრ. სადგურის კოლმეურნეებთან. ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობებს ეწვია ბეზენჩუკელი კოლმეურნეების დელეგაცია, გამოცდილების ამ ურთიერთმა გაზიარებამ საგრძნობი როლი შეასრულა სოფლად მასობრივ პოლიტიკური მუშაობის გაშლაში, კოლმეურნეთა გაზრდილ პოლიტიკურ მოთხოვნილებათადმი ყურადღების გაძლიერებაში.

სოფლად მასობრივი ახსნა-განმარტებითი და პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უგულებელყოფდნენ, ხდება საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების, გლეხობის ძირითადი მასების მიმართ მართებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოწყობის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი.

ამიერ-კავკასიამ 1933 წელს პირველად შეასრულა მთლიანად და გადაჭარბებით ბამბის, თამბაქოს, ჩაის, ბრინჯის, მანდარინის, ხილის, სარძეო პროდუქტების და სხვ. გეგმები. მარცვლეულის ჩაბარების გეგმა ვადამდე შესრულდა. შესრულებული იქნა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. მე-17 ყრილობას ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციები თვალსაჩინო წარმატებებით შეხვდნენ.

ამიერ-კავკასიას, მისი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებით, ძვირფასი ალპიური საძოვრებით, სათიბებით და საზამთრო საძოვრებით, აქვს ყველა შესაძლებლობა, რომ გახდეს მაღალპროდუქტიული მესაქონლეობის და სამრეწველო მეცხვარეობის რაიონი.

საკოლმეურნეო წყობილება ქმნის ყველა პირობას ამ ამოცანის შესასრულებლად, ყოველ წლობით იზრდება მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების და მათში პირუტყვის სულადობის რაოდენობა. 1932 წლის დამდეგისათვის ამიერ-კავკასიაში ითვლებოდა მეცხოველეობის 1533 საკოლმეურნეო ფერმა, რომლებშიც პირუტყვის საერთო რაოდენობა შეადგენდა 409.577 სულს. 1933 წლის დამლევისათვის ფერმების რიცხვი გაიზარდა 2017-მდე, ხოლო პირუტყვის რაოდენობა მათში —559.300 სულამდე. მაგრამ იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, ბლომად იყვნენ „მსხვილ-კულაკური ელემენტები სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგში", ხოლო მეორე მხრივ—წარმოებდა გაძლიერებული კულაკური აგიტაცია პირუტყვის დახოცვისათვის, რასაც რეორგანიზაციის წლებში ხელსაყრელი ნიადაგი ჰქონდა, აგრეთვე მეცხოველეობის დარგში პარტიული და სამიწათმოქმედო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო,—პირუტყვის სულადობამ ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში საგრძნობლად დაიკლო, ჯოგის სტრუქტურა გაუარესდა და სულადობის პროდუქტიულობის ხარისხობრივი მაჩვენებლები შემცირდა.

1929 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო 3.994 ათასი სული, ხოლო 1933 წლისათვის სულადობა შემცირდა 3.140 ათასამდე. ცხვარი და თხა 1929 წელს იყო 6.645 ათასი სული, ხოლო 1933 წლისათვის —3.784 ათასი. ღორი 1929 წელს იყო 635 ათასი სული, ხოლო 1933 წელს —374 ათასი. მხოლოდ ცხენების რაოდენობა გაიზარდა რამოდენიმედ: 1929 წელს არსებული 331 ათასი სულიდან 382 ათასამდე 1933 წელში.

ამხანაგ სტალინის მითითებას პარტიის მე-17 ყრილობაზე იმის შესახებ, რომ „1934 წელი უნდა გახდეს და შეიძლება გახდეს მეცხოველეობის მთელს მეურნეობაში აღმავლობისაკენ გარდატეხის წლად" ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეითვისეს როგორც საბრძოლო პროგრამა ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის გადაქცევისა მეცხოველეობის მოწინავე მეურნეობის მხარედ.

პარტიის მე-17 ყრილობის შემდეგ გასული ხნის განმავლობაში ბევრმა რაიონმა უკვე მიაღწია ფრიად სერიოზულ შედეგებს მეცხოველეობის გაუმჯობესებაში, გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა, მისი შენახვა, შრომის მართებული ორგანიზაცია, მეცხოველეობის მუდმივი ბრიგადების შექმნის და სანარდო სისტემის დანერგვის საფუძველზე, ბევრმა რაიონმა მიაღწია წარმატებებს ხბოს, ბატკნის, გოჭის მოგების კამპანიების ჩატარებაში და მიღებული ნამატის შენარჩუნებაში.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, ამიერ-კავკასიის მეცხოველეობის მეურნეობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი აქვს.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მაისის დამლევს შედგა, თავის გადაწყვეტილებაში ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მეცხოველეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნა, რომ რაიონული პარტიული, სამიწათმოქმედო და საბჭოთა ორგანიზაციების უმეტესობა ჯერ კიდევ არ აწარმოებს მედგარ, ბოლშევიკურ ბრძოლას მეცხოველეობის აღმავლობის შესახებ მე-17 ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

მთელ რიგ რაიონებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ვხვდებით ახალგაზრდა პირუტყვის დიდი პროცენტით დაღუპვას, პირუტყვის დაბალ პროდუქტიულობას, ზოოვეტერინარული მომსახურების არადამაკმაყოფილებლად მოწყობას და სხვ.

პლენუმმა დასვა ამოცანა—მიაღწიონ 1934 წლის დამლევისათვის იმას, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სულადობა გაიზარდოს 9 პროც. მაინც, კამეჩი —7 პროც. ცხენი—5 პროც., ცხვარი—16 პროც. და ღორი: საქართველოში 35—40 პროც., აზერბეიჯანში 12 პროც. და სომხეთში 30 პროცენტი.

1935 წელს მთლიანად უნდა იქნას ლიკვიდირებული უძროხობა ამიერ-კავკასიის კოლმეურნეთა შორის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობის სწრაფ მომრავლე დარგების (ღორი, თხა, ფრინველი) განვითარებას, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა პირად სარგებლობაში. უკვე 1934 წ. მესაქონლეობის რაიონების თვითეულ საკოლმეურნეო მეურნეობას უნდა ჰყავდეს ერთი დედა-ღორი მაინც და ყველგან უნდა გადიდდეს კვერცხის მდებ დედლების (ფრინველის რიცხვი 10—12-მდე.

ეჭვი არ არის, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები 1934 წელს მიაღწევენ გარდატეხას მეცხოველეობის განვითარებაში და 2—3 წლის მანძილზე გადააქცევენ ამიერ-კავკასიას მძლავრი, კულტურული, მაღალ პროდუქტიული სოციალისტური მეცხოველეობის რაიონად.

სოფლისადმი სწორმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მიღწევებმა შეცვალეს პოლიტიკური მდგომარეობა ამიერ-კავკასიის სოფელში. კოლმეურნე გლეხი და მშრომელი ერთპიროვნული მეურნე მუშაობენ დიდის ენერგიით და არც ისე ცუდად.

ამჟამად ხდება იმ გადახვევათა გამოსწორება, რომლებსაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა სომხეთის მთიანეთ რაიონებში. ამ რაიონებში თესვა წარმატებით და დანიშნულ ვადაზე დამთავრდა, ხოლო ის [illegible] მიჩნეულია.

ახლა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების უმნიშვნელოვანეს მოვალეობას სოფლის მეურნეობის დარგში წარმოადგენს გათიბვა—დამუშავების კამპანიის, ღვინის დამზადების და მოსავლის აღების კარგად ჩატარება.

თესვის მიმდინარეობის დროს დაშვებული ცალკეული შეცდომები აღმოფხვრილ უნდა იქნას ნათესების და ნარგავების კარგი დამუშავებით.

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციები, რაიონებსა და კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის აჩაღებენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას და სოციალისტურ შეჯიბრებას აღნიშნული ამოცანების გარშემო.

ეჭვს გარეშეა, რომ ნიადაგის დამუშავების, მოსავლის აღების და დამზადების სამუშაოების სანიმუშოდ მოწყობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ახალ წარმატებებს მიაღწევენ ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში და იბრძოლებენ იმისათვის, რომ გადააქციონ ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობები ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეები შეძლებულებად.

⁂

საქონლის ბრუნვის განვითარებაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაში, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს ერთგვარი მიღწევები აქვს. სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვების ჩათვლით, საქონლის ბრუნვა 1930 წლის 770,4 მილიონი მანეთიდან 1933 წ. 2.322,0 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. ამავე პერიოდის განმავლობაში მაღაზიების და სავაჭრო ფარდულების ქსელი 7.490 ერთეულიდან 14.748 ერთეულამდე გაიზარდა. მხარეში მოეწყო [illegible] სარაიონთაშორისო ბაზრების, ვაჭრობის, მრეწველობის ბაზრების ქსელი. ამიერ-კავკასიის უმნიშვნელოვანეს საწარმოებში მოწყობილია მუშათა მომარაგების განყოფილებები. 1933 წლის განმავლობაში მარტო აზნავთის მუშათა მომარაგების სამმართველომ თავისი სავაჭრო ქსელი 299-დან 404 მაღაზიამდე გააფართოვა.

ამიერ-კავკასიის უდიდეს ქალაქებში გახსნილია პროდუქტების და სამრეწველო საქონლის სპეციალიზებული კომერციული მაღაზიების ქსელი. კომერციული პურით ვაჭრობა ამიერ-კავკასიის 43 ქალაქში წარმოებს.

სასადილოების გაზრდილი ქსელი მომსახურეობას უწევს 716,1 ათას მომხმარებელს, გაფართოვდა საკოლმეურნეო ვაჭრობა. ამ ერთი თვის წინად ტფილისში საექსპლოატაციოდ გადაცემული იქნა დიდი ახალი დახურული ბაზარი.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის მე-17 ყრილობის შემდეგ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ხელი მოჰკიდეს საქონლის ბრუნვის გაშლას და ამ საქმეში ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს.

მაგრამ, „საქონლის ბრუნვის ახლანდელი მდგომარეობა არ შეიძლება ჩვენი მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებლად. ამიტომ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო გავშალოთ საბჭოთა ვაჭრობა, ჩავაბათ ამ საქმეში ადგილობრივი მრეწველობა. გავადიდოთ საკოლმეურნეო გლეხური ვაჭრობა და მივაღწიოთ ახალ გადამწყვეტ წარმატებებს საბჭოთა ვაჭრობის განვითარების დარგში" (სტალინი).

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მაისში ჩატარდა, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში საქონლის ბრუნვის შემდგომი განვითარებისათვის.

1935 წელს საქონლის ბრუნვა უნდა გადიდდეს სულ ცოტა 25 პროცენტით მაინც, გასულ წელთან შედარებით. სავაჭრო ქსელი უნდა გაფართოვდეს კიდევ 500 წერტილით. ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში კიდევ გაიხსნება 50 სპეციალიზებული მაღაზია. პირველი ივლისისათვის უნდა დამთავრდეს რაიმაღაზიების და რაიკულტმაღაზიების ქსელის გაფართოება.

უმოკლეს ვადაში მთავრდება ამიერ-კავკასიის ყველა სავაჭრო ორგანიზაციის სამმართველო აპარატის შემცირება 10-15 პროცენტით. საქონელმცოდნეთა, სავაჭრო და საანგარიშო დარგის მუშაკთა 20 პროც. მაინც გაგზავნა ძირეულ სავაჭრო რგოლში. სამხარეო კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ სცნო გაგზავნოს ძირეულ სავაჭრო სამუშაოზე მეურნეობის სხვა დარგებიდან, უწინარეს ყოვლისა, მაღაზიებში და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებაში 200 კომუნისტი, 300 კომკავშირელი, 200 სამეურნეო მუშაკი.

მაგრამ იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნან ეს კადრები სავაჭრო სამუშაოზე, რომ აღმოიფხვრას მათი დენადობა, საჭიროა სავაჭრო მუშაკთა ხელფასის გარდაქმნა იმ ანგარიშით, რომ მან ხელი შეუწყოს მუშაკთა გადასვლას კანცელარიიდან ოპერატიულ-სავაჭრო სამუშაოზე, დაზგასთან; უნდა გავაუმჯობესოთ სავაჭრო დარგის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციები ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომ გაშლას, მათი ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების დაკლებას.

ამ მხრივ ჯერ კიდევ სავსებით როდია გამოყენებული არსებული ადგილობრივი შესაძლებლობანი. რაიაღმასკომების უმრავლესობას თითქმის არაფერი გაუკეთებია ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის. ადგილობრივმა მრეწველობამ და სარეწაო კოოპერაციამ მიმდინარე წელს უნდა მოგვცენ გეგმის გარეშე არა ნაკლებ 25 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი. ამ დავალების შესრულება შესაძლებელია მთლიანად და გადაჭარბებით, ვინაიდან ამიერ-კავკასიის უმდიდრესი ნედლეულის შესაძლებლობანი საშუალებას გვაძლევენ მოვაწყოთ ფართო მოხმარების სულ სხვადასხვაგვარი საგნების დამატებით წარმოება.

საქონლის ბრუნვის განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებასთან. ორი წლის უკან ამიერ-კავკასიის რკინისგზებს ყველაზე უკანასკნელი ადგილი ეჭირათ საბჭოთა კავშირის რკინისგზებს შორის. დღეს ისინი გაცილებით უფრო უკეთ მუშაობენ. რკინისგზების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები და რკინისგზელთა მთელი მასა, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ რკინისგზის ტრანსპორტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მომავალ წლისთავთან დაკავშირებით, სოცშეჯიბრების საფუძველზე, კისრულობენ ვალდებულებას—მიაღწიონ ამიერ-კავკასიის რკინისგზის კარგ მუშაობას, იბრძოლონ საბჭოთა კავშირის გზებს შორის პირველი ადგილის მოპოვებისათვის.

ხდება ამიერ-კავკასიის რკინისგზის რეკონსტრუქცია: ელექტროფიცირებულია სურამის უღელტეხილი სტალინისის და ზესტაფონის სადგურებს შორის.

მთელ რიგ გადასარბენებზე შემოღებულია ავტობლოკირება. გრძელდება ელექტროფიკაციის და ავტობლოკირების სამუშაოები.

შენდება მთელი რიგი ახალი შტოები ერთლიანდაგიან უბნებზე წარმოებს მეორე ლიანდაგის დაგება. ეს ღონისძიებანი ადიდებენ ამიერ-კავკასიის რკინისგზების გამტარუნარიანობას.

ამიერ-კავკასიაში [illegible] შავი ზღვის ახალი გზის მშენებლობა. ეს გზა შემდეგი მიმართულებით [illegible]—სოხუმი—გაგრა—[illegible] უნდა მოგვცეს მეორე გამოსასვლელი რკინისგზით ამიერ-კავკასიიდან საბჭოთა კავშირის ცენტრებში. ამჟამად მუშაობა წარმოებს ოჩემჩირე—სოხუმი და გაგრა—ადლერის უბანზე. მაგრამ იმის გამო, რომ გზათა სახალხო კომისარიატი ცუდად ამარაგებს მშენებლობას საჭირო მასალით და საშუალებით, მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

რკინისგზის ტრანსპორტის გაუმჯობესებისათვის ბრძოლასთან ერთად ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციები დიდ მუშაობას აწარმოებენ გზატკეცილების მშენებლობის დარგში. ჩვენს მხარეში გზატკეცილები განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ. ამიერ-კავკასიის ფედერაციას შეუძლია ჰქონდეს და კიდეც უნდა ჰქონდეს უახლოესი წლების განმავლობაში გზატკეცილების სანიმუშო ქსელი. საქონლის ბრუნვის განვითარება და ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებებით მთელი პარტიის წინაშე დასახულია, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები მთელ თავის ძალებს დარაზმავენ მათი სასწრაფოდ შესრულებისათვის.

⁂

ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის ბრძოლაში, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის ბრძოლაში გაიზარდნენ, შემჭიდროვდნენ და განმტკიცდნენ ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციები. ამაღლდა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონე.

გაიზარდა და ხარისხობრივად განმტკიცდა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ქსელი. პარტორგანიზაციებში მტკიცედაა დაყენებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორიის შესწავლა.

ორგანიზაცია ცდილობს მშენებლობის ყოველ კონკრეტულ უბანზე მიაღწიოს მუშაობის ბოლშევიკურ სტილს. მუშაობის მაღალი პრინციპულობისა, კონკრეტულობისა და ოპერატიულობისათვის ბრძოლაში იზრდებიან ახალი პარტიული კადრები, რომლებიც იმსჭვალებიან ბოლშევიზმის ორგანიზაციული ტრადიციებით, ისინი იწრთობიან ბრძოლაში ბოლშევიკური პარტიულობისათვის, პარტიის გენერალური ხაზისათვის, ლენინურ-ნაციონალური პოლიტიკისათვის.

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაცია ღირსეულად ატარებს პარტიის ერთგული რაზმის სახელწოდებას, რომელიც შემჭიდროვებულია საქ. კ. პ. (ბ) ლენინური ცენ. კომიტეტის ირგვლივ, პარტიის დიდი ბელადის, საყვარელი მასწავლებლის და მეგობრის ამხანაგ სტალინის ირგვლივ.

22 მილიონი ტონა ნავთი, 850 ათასი ტონა მარგანეცი, 150 ათასი ტონა ბამბა, ნახევარი მილიარდი ციტრუსების ხილი უნდა მიეცეს და მიეცემა კიდეც საბჭოთა ქვეყანას.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებისათვის არ არსებობს სხვა უფრო საპატიო საქმე, ვიდრე შეუპოვარი და დაჟინებით ბრძოლა პარტიის მიერ მათზე დაკისრებული ფრიად პასუხსაგებ ამოცანების შესრულებისათვის.

ფერო ღნობის ტექნიკის დაუფლებისათვის

(ზესტაფონი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა ახალი მოვლენაა მთელ ამიერ-კავკასიაში. დიდია მის წინაშე დასმული ამოცანები: გადაჭრას პრობლემა ფერომარგანეცისა, რომელიც დღემდე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა, მისცეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის გიგანტებს მაღალხარისხოვანი სხმული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მაღალხარისხოვანი ფოლადების მიღება, მათი გაწმენდა რკინის ჟანგისაგან და მთლიანად აითვისოს ეს სრულიად ახალი ტექნოლოგიური პროცესი.

ქარხნის პროექტი ეკუთვნის გერმანულ ფირმა „სიმენსს"; ამ ფირმასთან დადებულ იქნა ხელშეკრულება ქარხნის მოწყობილობით უზრუნველყოფაზე; ტექნოლოგიური პროცესებისათვის ხელმძღვანელობის გაწევაზე და სხვ. ამავე ხელშეკრულებით „სიმენსის" ფირმას უნდა შეერჩია ღუმელის ფსკერი, კაზმის შემადგენლობა და საერთოდ წესრიგში მოეყვანა ღუმელების მუშაობა ამ პირობების დაცვის შემდეგ მოხდებოდა ღუმელების გადაბარება.

მაგრამ „სიმენსმა" არ შეასრულა ყველა ვალდებულება; საჭირო შეიქნა აგრეთვე მთელი რიგი შესწორების შეტანა ფირმა „სიმენსის" პროექტის ტექნოლოგიურ ნაწილში.

ექსპლოატაციაში გაშვების პირველი დღეებიდანვე (1933 წლის ნოემბერი) ღუმელები ცუდად მუშაობდა: ორი თვის მუშაობის შემდეგ ღუმელები გაჩერდა: ფირმა „სიმენსის" წარმომადგენლები (ზერნიცი, სეიმანი) ღუმელების მუშაობის შეფერხებას ხსნიდენ ობიექტიურ მიზეზებით, ისინი მიუთითებდნენ ნედლეულის უვარგისობაზე, მაგრამ ეს „ობიექტიური" მიზეზი არ ყოფილა, ნამდვილად ღუმელების გაჩერება აიხსნება თვით „სიმენსის" წარმომადგენლების მხრივ მთელი ტექნოლოგიური პროცესებისადმი სუსტი ტექნიკური ხელმძღვანელობით, და ელექტროღუმელების მოწყობილობის ცუდი ხარისხით:

კონკრეტულად საქმის ვითარება ასეთი იყო:

პირველი: კაზმში ქვანახშირის რაოდენობა არ იყო გათვალისწინებული საკმაო რაოდენობით, ამის გამო მარგანეცის მადანი იკარგებოდა წიდაში: მარგანეცის მადანი წიდაში, 10—12 პროცენტის ნაცვლად 30—35 პროცენტს უდრიდა: ამავე დროს ქვანახშირის ნაკლები რაოდენობით დამატება კაზმზე იწვევდა ღუმელის ხშირ ავარიებს, ფუჭდებოდა ღუმელის ფსკერი:

მეორე: თავიდანვე არ იყო შერჩეული ღუმელის ფსკერი (ბლოკები); იგი გაკეთებული იყო დაპრესილი ნახშირის ელექტროდისაგან, ხოლო კაზმში ნახშირის საკმაო რაოდენობის უქონლობამ რეაქციის დროს გამოიწვია ელექტროდების მიერ (ამ უკანასკნელის საშუალებით ხდება ელექტრო-ენერგიის გადაცემა ღუმელებზე) ფსკერიდან ნახშირის წილება, გაჩნდა პატარა ორმოები, რომლებშიაც გროვდებოდა გამდნარი ლითონი, მისი გამოშვება ვერ ხერხდებოდა და ზედმეტად გახურებული ლითონი დიდი სწრაფით ჭამდა ღუმელის ფსკერის ნახშირს:

მესამე: ლითონის გამოშვება ხდებოდა ყოველ 2 საათში ერთხელ: ეს იწვევდა ზედმეტად გახურებული ლითონის ზემოქმედებას ისედაც დაზიანებულ ფსკერზე:

„სიმენსის" წარმომადგენლებმა სცნეს მათ მიერ დაშვებული სერიოზული ტექნიკური შეცდომები და გვპირდებოდნენ მათ გამოსწორებას. „სიმენსის" ტექნიკურ შეცდომებზე საკმაოდ დაიწერა ჩვენს ცენტრალურ პრესაში, სხვათა შორის ჩვენს „კომუნისტში". მას შემდეგ თითქმის 4 თვეზე მეტი გავიდა და ღუმელების მუშაობის გამოსწორებას „სიმენსის" წარმომადგენლები ჯერაც არ შეუდგომიან.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ადგილობრივი საბჭოთა სპეციალისტების თავგამოდებული, გმირული ბრძოლა ღუმელების მუშაობის მოწესრიგების საქმეში. მათ თითქმის მიაღწიეს „სიმენსის" მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.

რა გააკეთეს საბჭოთა სპეციალისტებმა?

პირველი: ადგილობრივი საინჟინრო ტექნიკური ძალები და მთელი მუშათა კოლექტივი დაირაზმა შეცდომების გამოსწორებისათვის. „სიმენსის" წარმომადგენლები ითვალისწინებდნენ 300 კილოგრ. მარგანეცის მადანზე 120 კილოგრ. ნახშირს. აქ არ იყო გათვალისწინებული 2 რამ. ერთი ის, რომ ქვანახშირი ადვილად იწვის და რეაქციაში შედის ძალიან ცოტა, მეორე ის, რომ ნახშირი ძლიერ ნაცრიანია და ამოხეთქის დროს მისი ნაწილები თავისუფლად იფანტება ჰაერში. ისედაც ეს 120 კილოგრამი ნახშირი ძალიან ცოტა იყო. შემდეგ ფირმის წარმომადგენლები გადავიდნენ 185 კილოგრ. ნახშირის გამოყენებაზე. ვერც ამან გააუმჯობესა მდგომარეობა, ღუმელების მუშაობა მაინც ფერხდებოდა. ადგილობრივმა სპეციალისტებმა მოახდინეს ცდები ქვანახშირზე და შედარებით ზუსტი გამოანგარიშების საშუალებით მისი ხარჯვა, დაიყვანეს 140 კილოგრამამდე, რომლის დროსაც ამოხეთქები და საერთოდ ღუმელების მუშაობაში შეფერხებების შემთხვევა მაქსიმალურად შემცირდა.

ფოტო. სადნობი საამქროს უფროსი, ინჟ. ვასო ჩიტაძე, ელექტრო ღუმელების საუკეთესო მცოდნე

—:—

მეორე: თუ წინად ელექტროდების გადახარჯვას ჰქონდა ადგილი (ერთ ტონა ფერომარგანეცზე იხარჯებოდა 130—150 კილოგრ. ელექტროდი), ამჟამად ამ მხრივ ნორმალური მდგომარეობაა. ერთი ტონა ფერომარგანეცის მადანზე იხარჯება 22-25 კილოგრამი ელექტროდი. რამ გამოიწვია გადახარჯვა? ეს გამოწვეული იყო უმთავრესად ელექტროდის ერთეულის დიდი დატვირთვით დენის მიერ, [illegible] მოდიოდა 5—6 ამპერი, ამას ელექტროდი ვერ უძლებდა და ტყდებოდა; ეს იწვევდა დიდ მოცდენას. ქარხნის ინჟინრებმა ეს მდგომარეობა შესცვალეს ძაბვის გადიდებით, რამაც დენის მოქმედება ელექტროდის ერთეულზე დაიყვანა 5—6-დან 3—4 ამპერამდე. ამ ღონისძიების გატარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია არც ელექტროდის გადახარჯვის და არც მის გადატეხვის შემთხვევებს.

მესამე: ღუმელების ფსკერისათვის გამონახულია შედარებით კარგი მასალა. წინად ყველა ღუმელის ფსკერი ამოგებული იყო დაპრესილი ნახშირის ელექტროდებით (ბლოკები). ამჟამად იგი შეცვლილია პირველ ღუმელში ცეცხლგამძლე აგურით, მეორეში ელექტროდების პირდაპირ ელექტროდის ნახშირით და მის ირგვლივ კარაკულის მასით (ცემი), მესამეში ქვევითა ფენა ნახშირით, მას ზევით კი მოფენილია ცეცხლგამძლე აგური, ფსკერისათვის ასეთი მასალების შერჩევამ მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა. ასე მაგ. თუ წინათ (როდესაც ყველა ღუმელს ნახშირის ფსკერი ჰქონდა) ფსკერი ამოჭმული იყო 300-ზე მეტი მილიმეტრით და ისიც სულ 2 თვის მუშაობის შემდეგ, ამჟამად, თითქმის 5 თვის მუშაობის შემდეგ, ფსკერი დაზიანებულია მხოლოდ 250 მილიმეტრამდე. ეს საბჭოთა სპეციალისტების ერთი უდიდესი მიღწევაა.

მეოთხე: გამდნარი ლითონის გამოშვება ხდება ყოველ 2 საათის ნაცვლად 40—50 წუთში. ამ ღონისძიების გატარებამ შეამცირა გამდნარ ლითონის მოქმედება ფსკერზე და მისი დაზიანების შესაძლებლობა მინიმუმამდე დაიყვანა.

მეხუთე: წინათ ღუმელების მუშაობის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენდა ელექტროდების დამჭერების ცუდი ხარისხი და მილებში ზეთის დაკოქსება. ელექტროდების დამჭერებზე ზევითა ნაწილში მოთავსებული იყო მთავარი საზეთე მილი, რომელიც ქვევით, დამხმარე მილებით, უერთდებოდა ბუქსებს; ღუმელების მუშაობის დროს დიდი ტემპერატურის გამო მილები იმდენად ხურდებოდა, რომ მასში მოთავსებული ზეთი კოქსდებოდა, ვერ გადადიოდა ბუქსებში და ეს უკანასკნელი არ უჭერდა ელექტროდს და ელექტროდი ვარდებოდა ქვევით. ამჟამად ეს მდგომარეობა შეცვლილია. საზეთე მთავარი მილი ჩამოტანილია ქვევით, იგი ცეცხლისაგანაც დაცულია, მასზე ვერ მოქმედებს ტემპერატურა, შიგნით მილში გაკეთებულია მეორე მილი, რომელშიაც მოთავსებულია წყალი რომელიც ყოველ შემთხვევისათვის დიდი ტემპერატურის დროს მთლიანად სპობს ზეთის დაკოქსების შესაძლებლობას. ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია ზეთის დაკოქსებით ღუმელების მუშაობის შეფერხებას.

„სიმენსის" წარმომადგენლები ნაცვლად ყოველდღიური დაკვირვებისა, აწარმოებენ ლაბორატორიულ მუშაობას, უკეთებენ ანალიზს გამოდნობილ ლითონს და ყურადღებიდან უშვებენ ხელმძღვანელობას ღუმელებზე, აჭიანურებენ ცალკე პროცესების გატარებას და სხვ.

„სიმენსის" წარმომადგენლებს არა აქვთ სათანადო გამოცდილება ისეთი მძლავრი ღუმელების მუშაობაში, როგორიც მათ ჩადგეს ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანაში. ამას არც ისინი მალავენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადათ **მხოლოდ** ადგილობრივმა ტექნიკურმა ძალებმა გააკეთეს ბევრი რამ ღუმელების წესრიგში მოყვანისათვის, მათ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა შედარებით კარგი მაჩვენებლები მოგვცეს. აი ისინიც: თუ პირველ კვარტალში ელექტროღუმელებზე მოდიოდა გაცდენები მთელი ნომინალური დროის 76 პროც., ეს გაცდენები ზემოთაღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ, მეორე კვარტალში დაყვანილ იქნა 45—47 პროცენტამდე, თუ პირველ კვარტალში გეგმა სანახევროდაც არ იყო შესრულებული, მეორე კვარტალში გეგმის შესრულებამ აღწია 81 პროც., ივნისში იგი უდრიდა 88,4 პროც., ხოლო ივლისის პირველ დეკადაში პირველ ელექტროღუმელზე—92,6 პროც.; და მეორეზე—88,5 პროც., საშუალოდ ორივე ღუმელზე ივლისის პირველ დეკადაში გეგმის შესრულება უდრიდა 93,5 პროც.

ასეთია შედეგები.

ღუმელების მუშაობის მოწესრიგების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ტექნიკურ დირექტორს ინჟ. **ნიჟარაძეს**, სადნობ საამქროს საუკეთესო სპეციალისტს ინჟ. **ვ. ჩიტაძეს**, **ლადო მელაძეს**, **[illegible]**, **ბურჯანაძეს**; **სიორიძეს** და სხვ.; მუშებიდან: ამხ. **სივაკის**, **ლორთქიას**, **შ. ხალაძეს**, **რ. მაზარაძეს** და სხვ.

„სიმენსის" ფირმასთან ხელშეკრულების ვადა უკვე გავიდა გერმანელი სპეციალისტები **ზერნიცი** და **ზეიმანი** 11 ივლისს, ღამით, გაემგზავრნენ ბერლინს ანგარიშის საბოლოოდ გასასწორებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ მოხდება ჩაბარება.

ვალ. ბაბუნია.

უდანაკარგოდ და დროზე ავიღოთ მთელი მოსავალი

მომკელებს კვალდაკვალ მისდევენ

სოფ. ბაჯითის (ჭიათურის რაიონი) კოლმეურნეობამ მოსავლის აღებისათვის დროზე შეაკეთა კევრები, ცელები, ნამგლები, და სხვ. მოსავლის აღება, კოლმეურნეობამ ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყო. 15 ივლისისათვის 26 ჰექტარიდან პური აღებული ჰქონდა 8 ჰექტარზე.

საკოლმეურნეო ბრიგადებსა და ცალკეულ ჯგუფებს შორის გაჩაღებულია სოცშეჯიბრება მოსავლის ვადაზე ადრე და უდანაკარგოდ აღებისათვის.

ქალთა და მოზარდთა შრომა კოლმეურნეობაში ფართოდ არის გამოყენებული. **ქალებსა და მოზარდთაგან ჩამოყალიბებულია დანაკარგებთან მებრძოლი ჯგუფები, რომლებიც კვალდაკვალ მისდევენ მომკელებს და ხელით კრეფენ ჩაცვენილ თავთავს.**

მოსავლის გასალეწად კოლმეურნეობას მოწყობილი აქვს 7 კალო, გამოყოფილი ყავს მოსავლის მცველები. ძნები და კალოები დაცულია ხანძრისაგან.

რ. მაჭავარიანი

შირაქის საბჭოთა მეურნეობაში. სურათზე—პიონერთა ჯგუფი ლიუბა პავლენკოს ხელმძღვანელობით აგროვებს მინდვრად დაცვენილ თავთავს.

შირაქის საბჭოთა მეურნეობამ დაამთავრა მოსავლის აღება

(ტელეგრაფით შირაქიდან)

მუშაობის სწორი ორგანიზაციით, დანაკარგებთან საბრძოლველად ქალებისა და მოზარდთა შრომის ფართოდ გამოყენებით მოსავლის აღება დავამთავრეთ 19 ივლისს ნაცვლად 25 ივლისისა, რომელიც გეგმით გვქონდა მიცემული. ამრიგად **მოსავალი ავიღეთ 12 კალენდარულ და 10 სამუშაო დღეში, ნაცვლად 15 კალენდარულ და 13 სამუშაო დღისა.**

დანაკარგების საბოლოოდ შესამოწმებლად 20-23 ივლისამდე მეურნეობაში გამოცხადებულია დამკვრელი სამდღიური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მეურნეობის ყველა მუშა-მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი სულ 1500 სულამდე.

შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **აფაქიძე-შვილი.**

პარტკომიტეტის მდივანი **კვანტალიანი.**
მუშკომის თავმჯდომარე **აბრამიშვილი.**

მოსავალი აღებულია 128634 ჰექტარზე

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

15 ივლისისათვის თავთავიან კულტურების მოსავალი **საქართველოში აღებული იყო 128.634 ჰექტარზე, რაც ამ კულტურათა ნათესების 82 პროც. შეადგენს.** (10 ივლისისათვის მოსავალი აღებული იყო 89.089 ჰექტ., ნათესების 22,2 პროც.).

კოლმეურნეობებს 15 ივლისისათვის მოსავალი აღებული ჰქონდათ 44.458 ჰექტარზე, (ნათესების 33,7 პროც.) და ერთპიროვნულ მეურნეობებს—84.176 ჰექტ. (ნათესების 31,2 პროც.).

რაიონების მიხედვით მოსავალი აღებულია: **ახალციხის** რაიონში — 300 ჰექტ. (3,1 პროც.), **სტალინისის** რაიონში—2.094 ჰექტ. (8,6 პროც.). **გორის** რაიონში—2.457 ჰექტ. (10,4 პროც.), **კასპის**—5.450 ჰექტ. (43,9 პროც.), **გურჯაანის**—13.499 ჰექტ. (71,3 პროც.), **სიღნაღის**—20.994 ჰექტ. (58 პროცენტი), **თელავის** — 18.806 ჰექტ. (74,4 პროც.), **ყვარლის** 10.547 ჰექტ. (87,2 პრო(ც), **ლაგოდეხის**—8.544 ჰექტ (92,3 პრ.), **ტფილისის** —15.467 ჰექტ. (63 პრ.), **ყარაიას**—1699 ჰექტ., 100 პროც. **ბორჩალოს** — 6237 ჰექტ. (89.5 პროც.), **ლიუქსემბურგის** — 5.803 ჰექტ. (64,4 პროც.), **დუშეთის** — 742 ჰექტ. (4,7 პროც.), **ალბულაღის** 4920 ჰექ. (28,7 პროც.), **საგარეჯოს** —7.031 ჰექტ. (50 პროც.), **ბაშკიჩეთის**—3.100 ჰექტ. (23,7 პროც.), **სამტრედიის**—426 ჰექტ. (92,6 პროც.). **ხონის** რაიონში—248 ჰექტ. (50,7 პროც.) და **აფხაზეთში** 262 ჰექტ. ნათესების მთელი რაოდენობის 80,6 პროც.

აფხაზეთიდან სიღნაღის და ბაშკიჩეთის რაიონებიდან უკანასკნელი ცნობა მოსავლის აღების შესახებ მიღებულია 10 ივლისს.

კომბაინერების შეჯიბრება

ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს...

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აგარის საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო დამკვრელი და მოწინავე კომბაინერი **ნიკიტა ფილატოვს** სერიოზული „მოკიდრე" გამოუჩნდა პირველობისათვის ბრძოლაში. ეს არის კომბაინერი **ამბროსი ლონდაძე.**

ამხ. ნიკიტა ფილატოვი სულ ახალგაზრდაა, იგი მხოლოდ 21 წლისაა; 11 წელიწადი მოჯამაგირეობაში გაუტარებია.

1932 წელს წარმატებით დაამთავრა კომბაინერთა კურსები და ამის შემდეგ ყოველწლიურად კომბაინზე მუშაობს. მესამე წელიწადია რაც იგი აგარის საბჭოთა მეურნეობაშია და თავისი ნამდვილი დამკვრელური მუშაობით საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

1933 წელს ნიკიტა ფილატოვმა წარმატებით შეასრულა იმ დროს გამოცხადებული კომბაინების პირველი საკავშირო კონკურსის პირობები, რისთვისაც 500 მანეთით დაჯილდოვეს.

ამბროსი ლონდაძე ნიკიტა ფილატოვს სოცშეჯიბრებაში ჰყავს გამოწვეული.

8 ივლისს ოთხი კომბაინი გავიდა საცდელ სამუშაოზე. დაიწყეს მუშაობა. ფილატოვმა პირველ წუთებშივე შეამჩნია, რომ მისი კომბაინის საცრები არანორმალურად მუშაობენ; გააჩერა კომბაინი; დაათვალიერა იგი. შეასწორა თან ცალი თვალი ეჭირა ლონდაძის კომბაინისაკენ, რომელიც წინ მიექანებოდა. წამოეწია ლონდაძის კომბაინს, მასაც შეაჩერებია კომბაინი, დაათვალიერეს, შეასწორეს.

მესამე კომბაინი (კომბაინერი ომელევი) უფრო უკან ჩამორჩა. მას მეტი ნაკლოვანებები აღმოაჩნდა. ლონდაძე და ფილატოვი მივიდნენ მასთან. მოეხმარნენ, შეუსწორეს, საცდელი გასვლა იმისთვისაა, რომ ყველაფერი წესრიგში იყვეს მოყვანილი.

9 ივლისს კომბაინებმა განაგრძეს მუშაობა, მაგრამ წვიმის გამო შეჩერდნენ. 10 ივლისსაც იმუშავეს; ფილატოვმა იგრძნო, რომ პირველობისათვის ბრძოლაში ლონდაძე სერიოზულ ძალას წარმოადგენს და, რომ მით უმეტეს არის საჭირო საათივით აწყობილი მუშაობა.

კომბაინერები სიტყვას იძლევიან, რომ ნორმებს გადაჭარბებით შეასრულებენ, თუ მარცვლის გაზიდვის მხრივ დაბრკოლებას არ ექნა ადგილი.

კომბაინის ბუნკერი, რომელიც 90 ფუთ მარცვლეულს იტევს, წესიერი მუშაობის დროს ერთ საათში ივსება. ბუნკერის დაცლას სულ 5 წუთი ჭირდება და, მის ახლად გავსებამდე თუ ავტომანქანა არ მოვიდა, კომბაინი იძულებულია გაჩერდეს.

ასე მოხდა მუშაობის პირველ დღეებში. ამ გარემოებას სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება. ავტომანქანის გარდა საჭიროა მოეწყოს მისაბმელი ლაფეტი, რომელსაც ტრაქტორი იმოძრავებს კომბაინთან და რომელშიაც შეუფერხებლივ გადაიცლება გავსებული ბუნკერი.

კომბაინების და სალეწ პუნქტების მეორე საკავშირო კონკურსში ჩაბმულია საბჭოთა მეურნეობის ყველა კომბაინი. თვითეულ მათგანს აღებული აქვს კონკრეტული ვალდებულება.

პირველობას ჯერჯერობით ამბროსი ლონდაძე იჩემებს. ის დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში; მაგრამ, როდესაც **ფილატოვს** ელაპარაკებით, იგი დამშვიდებული გიპასუხებთ — მართალია ლონდაძეს ჩემზე მეტი გამოცდილება აქვს, მაგრამ მე მას არ ჩამოუვარდები—ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.

ტ. გოზალოვი.

უურადღება ხარისხს

(სენაკი, საკ. კორესპონდენტისაგან)

სენაკის რაიონში ვერ მოხერხდა ჩაის კრეფის ხარისხის აწევა. მართალია, ამჟამად მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა, მაგრამ **პირველი ხარისხი მაინც ვერ აღწევს 90 პროცენტს.**

ამის მიზეზი კი ისაა, რომ კოლმეურნეობებში სათანადოდ არ ტარდება აგროტექნიკური ღონისძიებები. ყოველ 100 ფოთოლში არა პირველი ხარისხის 12 ფოთოლი რომ შეერიოს, მაშინ მთელ მოკრეფილ ფოთოლს მეორე ხარისხში ღებულობენ. აქ შეიძლება აგროწესების ლაცვით გამოვასწოროთ მდგომარეობა.

კრეფის დროს ან ორი კალათა უნდა გვქონდეს, ანდა თუ ერთი კალათაა, იგი შუაზე უნდა გადაიტიხროს. ერთში პირველი ხარისხის ფოთოლი ჩაიყრება, მეორეში — მდარე ხარისხის და შერევა აღარ მოხდება.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამ წესებს (ფოთლის ხარისხების მიხედვით ჩაყრას) არღვევენ (ზანა, ფოცხო, უშაბათი), ამის გამო პუნქტები ვერ აწარმოებენ ჩაის ფოთლის სათანადო დახარისხებას.

საჭიროა აგროტექნიკურ ღონისძიებათა აუცილებლად დანერგვა და ჩაის კრეფის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება.

კომპარტიები იბრძვიან მშრომელთა მთლიანი ფრონტისათვის

„არც ერთი კაცი, არც ერთი პენსი იმპერიალისტურ ომისათვის"

ინგლისის კომპარტიის წერილი ლეიბორისტული პარტიის აღმასკომს

ლონდონი, 17 ივლისი. ინგლისის კომპარტია ლეიბორისტული პარტიის აღმასკომისადმი მიმართულ წერილში მოუწოდებს შექმნან მსოფლიო ომის 20 წლის თავის წინ „ყველა მუშის ერთიანი ფრონტი, — დამოუკიდებლად იმისა, ეკუთვნიან ისინი ლეიბორისტულ პარტიას, ტრედიუნიონებს, კოოპერატიულ პარტიას, დამოუკიდებელ მუშათა პარტიას, კომპარტიას თუ სხვა ორგანიზაციებს, — ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი". აღნიშნავს რა ერთიანი ფრონტის შექმნას საფრანგეთში, კომპარტია წერს:

„მიუხედავად იმისა, რომ თქვენ წინათ უარს ამბობდით მონაწილეობა მიგეღოთ ერთიან ფრონტში, ჩვენ კვლავ გაძლევთ წინადადებას შეხვდეთ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს, რომ განვიხილოთ საერთო მოქმედების ხასიათი და ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა". წერილის სიტყვით „ახლანდელი ვითარება და მუშების მისწრაფება ერთიანი ფრონტისაკენ მოითხოვენ, რომ ეს დაუყოვნებლივ განხორციელდეს". კომპარტია წინადადებას იძლევა:

1, მოეწყოს გაერთიანებული დემონსტრაცია 5 აგვისტოს, ამასთან ორატორებისათვის დაწესდეს შემდეგი თემები:

ა) ომის საშიშროება და ფაშიზმის საფრთხე.

ბ) არც ერთი კაცი, არც ერთი პენსი იმპერიალისტური ომისათვის! სათანადო სახსრები უნდა დაიხარჯოს სოციალურ ღონისძიებებზე.

გ) არც ერთი მატარებელი, არც ერთი გემი სამხედრო მასალებით იაპონიისა და გერმანიისათვის.

2. მოეწყოს ანტიფაშისტური მოძრაობა ჯგუფების შექმნით საწარმოებში და რაიონებში. მოთხოვნილ იქნას ფაშისტური ორგანიზაციების დაშლა.

3. მოეწყოს მუშათა კლასის ბრძოლა უმუშევრობის ახალი კანონის წინააღმდეგ და „არმიაში ამბოხების გამომწვევი პროპაგანდის" შესახებ გამომუშავებული ახალი კანონპროექტის წინააღმდეგ.

4. უოველგვარი ზომა იქნას მიღებული საბჭოთა კავშირის და ჩინეთის საბჭოთა ტერიტორიების დასაცავად კონტრრევოლუციური თავდასხმისაგან და წინააღმდეგობა გაეწიოს ჩინეთის დაყოფას.

კომპარტიის წერილს ბურჟუაზიული გაზეთები ბერილიან აქცევენ თვალსაჩინო ყურადღებას. გაზეთების უმრავლესობა გამოთქვამს აზრს, რომ ლეიბორისტული პარტია უარყოფს კომპარტიის წინადადებას.

ლეიბორისტების ორგანოს — „დეილი ჰერალდის" პირველად მოჰყავს დაწვრილებით კომპარტიის წერილი საფრანგეთში ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ ინფორმაციასთან ერთად — სათაურით. „მოწოდება ლეიბორისტული პარტიისადმი. კომუნისტები წინადადებას იძლევიან აქაც ასეთივე ღონისძიება გატარდეს".

ინგლის-თურქეთის ინციდენტი

ანქარა, 18 ივლისი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ 14 ივლისს კუშ-ადაზის სამხრეთით 35 კილომეტრის მანძილზე ნაპირს მოადგა ნავი, რომელშიც სამი ტიტველი კაცი იჯდა. სანაპირო რაზმი შეეცადა აღნიშნული პირების დაპატიმრებას, მაგრამ მათ არ უპასუხეს სანაპირო რაზმის გამაფრთხილებელ სიგნალებს და გაიქცნენ. მაშინ მცველმა რაზმელებმა რამდენიმეჯერ გაისროლეს თოფი ჯერ ჰაერში, ხოლო შემდეგ ესროლეს იმათაც, რომლებიც ნაპირს უახლოვდებოდნენ. ნავი გაშორდა ნაპირს. შემდეგ მოვიდა მოტორიანი ნავი გვამების საძებრად. მოტორიანი ნავით მოსულებმა განაცხადეს, რომ გაქცეული პირები მსახურობენ ბრიტანეთის სამხედრო გემზე, რომელიც იმყოფება სამოსის კუნძულის ნაპირებთან. თურქეთის მოტორიანმა ნავმა მონაწილეობა მიიღო გვამების ძებნაში. თურქეთის მთავრობამ დაავალა თურქეთის ელჩს ლონდონში, აცნობოს ინგლისის მთავრობას მომხდარი ამბის შესახებ და დასძინოს, რომ, თუმცა სანაპირო მცველი რაზმის მოქმედება სავსებით კანონიერია, მაგრამ ერთის სიკვდილი და მეორის დაჭრა ღრმა მწუხარებას იწვევს. (ადს).

ლონდონი, 18 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის" სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ თხოვნამ — დაუშვან ინგლისელი ოფიცრები კვლევა-ძიებაში მონაწილეობის მისაღებად — დიდი გაკვირვება გამოიწვია თურქეთის საზოგადოებრივ წრეებში, ამასთან ოფიციალურ წრეებში საეჭვოდ მიაჩნიათ, დათანხმდება თუ არა თურქეთის მთავრობა იმას, რომ დაუშვას ინგლისელი ოფიცრები კვლევაძიებაში მონაწილეობის მისაღებად. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ თურქეთის მთავრობა სერიოზულად ეკიდება ინციდენტს. კორესპონდენტი იუწყება, რომ თურქეთის პრემიერმა **ისმეტ-ფაშამ** გადადვა შვებულებაში გამგზავრება, ხოლო თურქეთის სამხედრო მინისტრი გაემგზავრა სმირნაში ინცინდენტის გამოსაძიებლად.

გამოცხადდა, რომ კრეისერი „შროპშირი" და ესკადრა შვიდი ნაღმოსნის შემადგენლობით ჩავიდა სამოსის რაიონში და გაჩერდა თურქეთის ნაპირიდან სამი მილის მანძილზე. ბრიტანეთის კრეისერიდან ჰიდროპლანმა ჩაატარა ფრენა იმ არხის გასწვრივ, რომელიც სამოს ჰყოფს ანატოლიისაგან. თურქეთის ხელისუფლებისაგან ნებართვის მიღების შემდეგ ნაღმოსანთა ფლოტილიამ დაიწყო ინგლისელი ოფიცრის გვამის ძებნა. „მორნინგ პოსტის" ათინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრიტანეთის სამხედრო გემი „კინ ლიზავეტი", რომელზედაც იმყოფება ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ესკადრის სარდალი, აგრეთვე გემი „როიელ სოვრეინი" ემზადებიან იმ ესკადრასთან შესაერთებლად, რომელიც სამოსის რაიონში გაემგზავრა. (ადს).

მოიერიშეთა რვა რაზმის დაშლა

პრაღა, 17 ივლისი. „პრაგერ - ტაგებლატის" ბერლინელი კორესპონდენტის გადმოცემით, შვებულებაში დათხოვნილ ნაციონალ - სოციალისტურ მოიერიშეთა შორის გრძელდება გაძლიერებული კომუნისტური პროპაგანდა. ფურცლები ხელიდან ხელში გადადის.

მოიერიშეთა შორის ყველგან ცხარე მსჯელობაა სახელმწიფოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ამასთან ჰიტლერის მომხრეები უმცირესობაში რჩებიან. ამის გამო მოიერიშეთა მთავარმა შტაბმა ბერლინში დაშალა მოიერიშეთა 8 რაზმი, რომლის წევრებიც არ იქნებიან მიღებული მოიერიშეთა არცერთ სხვა რაზმში. დაშლილთა შორის არის ხორსტვესელის სახელობის ცნობილი რაზმი, რომლის სახელიც მიეკუთვნება მოიერიშეთა სხვა რომელიმე რაზმს (ადს).

ბერლინი, 17 ივლისი. პრუსის პოლიციის უფროსმა გენერალმა დელუგემ, რომელიც აგრეთვე დანიშნულია ბერლინის ოლქის მოიერიშეთა რაზმების უფროსად, პრუსის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ახლა ხდება მოიერიშეთა რაზმების არა ხელახალი შედგენა, არამედ მხოლოდ რეორგანიზაცია. დელუგემ აღნიშნა, რომ მოიერიშეთა რაზმების რეორგანიზაციის ჩატარების დროს მოწვეული იქნებიან პოლიციის ყოფილი ოფიცრები და რომ რეორგანიზაციის დროს შემოწმებული იქნება ფინანსების მდგომარეობა მოიერიშეთა რაზმებში, აგრეთვე მოიერიშეთა ხელმძღვანელი შემადგენლობა (ადს).

საყოველთაო გაფიცვა სან-ფრანცისკოში

გაფიცულია 150 ათასი მუშა

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. სან-ფრანცისკოში და ახლო მდებარე ქალაქებში გაფიცულია 150 ათასი მუშა და მოსამსახურე. გაფიცვამ ჩაკლა ქალაქის მთელი ცხოვრება. გაფიცვამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ოკლენდში და ბერკლიში, სადაც დახურულია თითქმის ყველა სამრეწველო და სავაჭრო საწარმო, აგრეთვე რესტორანებიც. ხელისუფლების წარმომადგენლები და მეწარმენი ენერგიულ ზომებს ღებულობენ გაფიცვის ჩასახშობად. გაფიცვის რაიონში გაფიცულთა დასაწყნარებლად გაიგზავნა დაახლოებით 5 ათასი ჯარისკაცი.

ალაბამას შტატში გაიფიცა რამდენიმე ათასი მცირე ხელფასის მქონე ფეიქარი, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის განაკვეთების გადიდებას. გაფიცულებმა მოაწყეს მასობრივი პიკეტები. (ადს).

გერმანიაში 30 ივნისის ამბების შესახებ

ლონდონი, 17 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის" ბერლინელი კორესპონდენტი ჩერდება **ჰიტლერის** განცხადებაზე, რომ გენერალი **შლეიხერი** ასრულებდა „შიკრიკის ფუნქციებს შლეიხერსა და იმ „იდუმალ დიდ სახელმწიფოს" შორის, რომელიც, ოფიციალური ვერსიის თანახმად, ჩარეული შეთქმულებაში გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ 18 თვეა, რაც ბრედოვი გერმანიიდან არსად წასულა.

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ 30 ივნისის ამბების გამო მოკლულთა რიცხვს უნდა მოემატოს ბერლინის საიდუმლო პოლიციის დიდი მოხელე **კესელი,** რომელიც სამსახურში მოკლეს მცველი რაზმების წევრებმა.

მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ, რომ **პაპენმა** ხუთჯერ ითხოვა გადადგომა, მაგრამ მისი შუამდგომლობა არცერთხელ არ დააკმაყოფილეს. არ დააკმაყოფილეს აგრეთვე პაპენის სურვილი ენახა **ჰინდენბურგი** (ადს).

ამხ. ტელმანის მომავალი პროცესის ირგვლივ

საერთაშორისო იურიდიული კომისიის განცხადება

პარიზი, 18 ივლისი. ჟურნალ „ლიუში" ცნობილი იურისტების —ვილარის, ლაფურას და სხვ. ხელმოწერით გამოქვეყნებულია საერთაშორისო იურიდიული კომისიის დასკვნები ტელმანის მომავალი პროცესის გამო.

კომისია ადასტურებს, რომ „ჯერ ერთი სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ვექილის ყველა მოთხოვნას ტელმანის დასაცავად დაშვების შესახებ სისტემატურად უარყოფენ".

მეორე —„დეიჩე ვოხენშაუს" განცხადებების თანახმად, ყველა ბრალდება ტელმანის წინააღმდეგ ემყარება „მორალური დანაშაულობის" ან „ინტელექტუალური პასუხისმგებლობის" პრინციპს, რასაც გერმანიის ფაშისტური იუსტიცია აყენებს პროცესის საფუძვლად.

ამგვარად ტელმანს ბრალდება მორალური დანაშაული ყველა იმ სისხლის მღვრელი შეტაკებისათვის, რომლებიც პროვოკაციულად იყო მოწყობილი მოიერიშეთა რაზმების მიერ ჯერ კიდევ მის დაპატიმრებამდე, აგრეთვე ამ შეტაკებების დროს მოიერიშეთა მოკვლისა და დაჭრისათვის იმ დროს, როცა დამნაშავენი არიან აღმოჩენილი და არ არის გამორკვეული — იყო თუ არა აქ კანონიერი თავდაცვის გარემოება".

„მესამე —„მორალური" დანაშაულის ეს იუსტიცია არ ემყარება არავითარ დაწერილ კანონებს, იგი გაშუქებულია ზოგიერთი პრეცენდენტებით, რომელთაგან აღსანიშნავია ფაქტი, რომელმაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ამჟამად ბერლინის სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა და სასტიკი პატიმრობა აქვთ მისჯილი იმ მუშებს, რომლებსაც დააკისრეს პასუხისმგებლობა პოლიციის ორი ოფიცრის მოკვლისათვის 1931 წლის 9 აგვისტოს შიულოვ - პლაცზე მომხდარი შეტაკების შედეგად.

ამ საქმის გარჩევის დროს არ ყოფილან დაშვებული არც უცხოეთის პრესის წარმომადგენლები და არც ერთი უცხოელი იურისტი. კომისიამ, რომელმაც პარიზში გამოიკვლია ბიულოვ - პლაცის პროცესი, დაკითხა მრავალი მოწმე და თავის მიუდგომელ ანგარიშში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მსჯავრ - დადებულები არ არიან დამნაშავენი და რომ ბრალდებულებმა სამარცხვინო მიკერძოება გამოიჩინეს"".

ფიოროდიული კომისია აცხადებს პროტესტს ფაშისტური იუსტიციის ასეთი მეთოდების წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ ეს მეთოდები გამოყენებული იქნება ამხ. ტელმანის საქმეში (ადს).

● ● ●

იაპონია აუქმებს ვაშინგტონის შეთანხმებას

ხელი საზღვაო შეიარაღების შესახებ

ვაშინგტონი, 17 ივლისი. საგარეო საქმეთა მინისტრმა **ხელმა** პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იმ მოლაპარაკების შეწყვეტა, რომელიც ლონდონში წარმოებდა საზღვაო შეიარაღების საკითხებზე, არ ნიშნავს იმას, რომ მოლაპარაკებამ მარცხი განიცადა. ხელის სიტყვით, დევისმა აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მოლაპარაკება, რამდენადაც ახლანდელ მომენტში შესაძლებელი იყო, წარმატებით მიმდინარეობდა. დევისი მზად არის დაბრუნდეს ლონდონს ყოველ მომენტში, როცა იაპონია გამოგზავნის თავის დელეგატებს. (ადს).

ადმირალ სუეცუგუს განცხადება

ტოკიო, 17 ივლისი. ადმირალმა სუეცუგუმ, რომელიც ჩამოვიდა იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოს ფლოტის წარმომადგენელთა თათბირზე, ინტერვიუში, განაცხადა: „სახელმწიფოების ყოველგვარი ცდა აიძულონ იაპონია მომავალ კონფერენციაზე დათანხმდეს პროპორციის 5 : 5 : 3 შენარჩუნებას (ამერიკა, ინგლისი, იაპონია) ამაო იქნება. იაპონიამ წელს უნდა განაცხადოს ვაშინგტონის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ". (ადს).

● ● ●

პოლიტპატიმართა სიკვდილი შიმშილობისაგან

ვარშავა, 17 ივლისი. „ვეჩერ ვარშავსკი" იუწყება, რომ ვრონკის საპატიმროში (პოზნანის სავოევოდო) შიმშილისაგან გარდაიცვალა ორი პოლიტპატიმარი, რომლებსაც საპატიმროს რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოცხადებული ჰქონდათ ხანგრძლივი შიმშილობა. (ადს).

● ● ●

ბლომბერგის გამგზავრება დანიაში

სტოკჰოლმი, 17 ივლისი. ეს-ეს არის შეიტყეს, რომ გერმანიის სამხედრო მინისტრი **ბლომბერგი,** რომელსაც ახლდნენ უცნობი პირნი, ნადმოსან „გრილათი" კოპენჰაგენში ჩავიდა. კოპენჰაგენიდან ბლომბერგი და მასთან მყოფი პირნი პროვინციაში წავიდნენ. ამბობენ, რომ ეს გამგზავრება დაკავშირებულია შვეციის იმ იარაღის საქმის გამოძიებასთან, რომელსაც მოიერიშეთა რაზმის დახვრეტილ ხელმძღვანელებს აწვდიდნენ (ადს).

გაშმაგოთ სოცშეჯიბრება გზების ოსტატთა შორის

გზების მოვლისა და შენახვის მაღალი კულტურისათვის

საქართველოს გზების დათვალიერების შედეგად საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და საბჭოთა კონტროლის კომისიამ აღნიშნა, რომ „ადგილი აქვს მთელ რიგ უბნებში გზების მიმდინარე შეკეთების და კულტურული მოვლის საკითხების მივიწყებას".

ასე მაგალითად, მე-4 უბანში, ბორჯომახალციხის გზაზე, მთელ რიგ კილომეტრებზე, არ აწარმოებენ მიმდინარე შეკეთებას იმის მოლოდინში, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ გატარდება კაპიტალური რემონტი.

ასეთივე დაუშვებელ და შეუწყნარებელ მიმდინარე შეკეთების უგულებელყოფას ადგილი აქვს თბილის-მაწყვერის და ქუთაის-ონის გზებზე.

ამის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს უბნების ხელმძღვანელთა (უფროსების და მათი თანაშემწის) მხრივ საგზაო მეურნეობის საექსპლოატაციო საკითხების შეუფასებლობაში.

უბნის ხელმძღვანელობა მშენებლობის და კაპიტალური შეკეთების გეგმების შესრულებისათვის მობილიზაციას უკეთებს ყველა მატერიალურ და ფიზიკურ ძალებს და **ივიწყებს გზების კულტურულ მოვლის საქმეს.**

როგორც „ცუდორტრანს"-ის ისე საქ. გზატრანსის მუშაობაში მთელი რიგი წლების განმავლობაში ჰქონდა ადგილი ისეთ პრაქტიკას, როდესაც უბნის მუშაობის შეფასება ხდებოდა იმ მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც მას ჰქონდა მიცემული მშენებლობის გეგმის შესრულების დარგში.

რაც შეეხება ექსპლოატაციის დარგს, აქ მუშების შეფასებისათვის არ იყო და არც არის შემოღებული რეალური მაჩვენებელი. ამიტომ დღემდე კონკრეტული შეფასება უბნების ყოველი თვიურ და კვარტალური მუშაობის შედეგებისა გზების მოვლისა და შენახვის საქმეში არ არსებობს.

გზის ინსპექცია ამ მხრივ არავითარ მუშაობას არ აწარმოებს. სპეციალური საექსპლოატაციო დარგის განყოფილება სამმართველოში არ არსებობს. უბნებზე კი ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები და მატერიალური რესურსების დიდი ნაწილი ხმარდება მხოლოდ კაპიტალურ მშენებლობას მიმდინარე შეკეთების და გზების კულტურული მოვლის საკითხები მივიწყებულია. **გზის შემკეთებელი მუშა და გზის ოსტატი, როგორც ამ დარგის ცენტრალური ფიგურა არ ჩანს.**

საქ. გზატრანსის წინაშე გზების მოვლა-პატრონობის საქმეში გადაუდებელი ამოცანები დგას.

პირველ რიგში საჭიროა მთელი სიმწვავით ვაგრძნობინოთ უბნების ხელმძღვანელობას, რომ მათ მოეთხოვებათ გზების მოვლისა და შენახვის მაღალი კულტურა, საქმის ორგანიზაციის უნარი და, რაც მთავარია, გზების შეკეთების უახლესი მეთოდებით, მაღალი ხარისხის და გამძლეობის მიღწევა.

მოწინავე უბნების მიღწევები უნდა გახდეს მისაბაძ მაგალითად; ასეთი მიღწევები კი საკმაოდ გვაქვს.

საქ. სამხედრო გზამ 100 პროც. შეაკეთა შოსე ზაფხულის დადგომამდე. პირველმა უბანმა ჩაატარა საქ. სამხედრო გზის 20 კილომეტრზე მაკადამის შოსეს, „თეთრი გზის" გუდრონის საშუალებით შეკეთება. ამან კარგი შედეგი გამოიღო. იმავე მეთოდით მუშაობას აწარმოებენ ეხლა აფხაზეთის და აჭარისტანის გზატრანსები დაზორჯომის უბანი.

მაკადამის ტიპის შოსეზე პირველ ივლისისათვის რემონტი გატარებული იყო 46 კილომეტრზე, ნაცვლად 156 კილომეტრისა. ამ გზებს დღეის ქერქი ნორმალური აქვს, მხოლოდ ისინი საჭიროებს ორმოების შეკეთებას. ასეთი ჩამორჩენა უბნებისათვის მიუტევებელი დანაშაულია.

ჩვენი გზების დიდი ნაწილის სავალი ზოლი გაცვეთილია ყამირამდე—ფუძემდე. მას სჭირდება შეკეთების განსაკუთრებული ოსტატობა.

ამის წარმატებით გადაჭრა შეიძლება მაშინ, თუ საგზაო ორგანოები იბრუნებენ პირს გზების მოვლისაკენ. ყოველ საგზაო უბანს უნდა ჰქონდეს ორი დარგი — საექსპლოატაციო სამსახური და მშენებლობის დარგი. თვითეულ ამ დარგს უნდა დაენიშნოს გამოცდილი და მაღალი კვალიფიციური სპეციალისტი — ინჟინერი, აღჭურვილი უბნის უფროსის მოადგილის ფუნქციებით.

საექსპლოატაციო დარგს უნდა ყავდეს განსაკუთრებული აპარატი ხაზის მუშებით და კვალიფიციური პერსონალით. იგი უნდა ეწეოდეს გზის მოვლას.

მეორე მხრივ, გზის მოვლა უმთავრესად სასტატოზე არის დამოკიდებული. სასტატო, საექსპლოატაციო უბნების საშუალო რგოლია. სასტატო აერთიანებს 20-25 კილომეტრ გზას. მას სათავეში უდგას **ოსტატი.** გზის ოსტატის უნარზე, შრომის მოყვარეობაზე, კვალიფიკაციაზე და შექმნილ პირობებზე დამოკიდებულია გზის ყოველდღიური მოვლა, მისი კულტურული შენახვა.

რას ნიშნავს გზის კულტურა? გზა რთული მეურნეობაა, მისი მთავარი, ძირითადი ელემენტებია **სავალი ზოლი** და ტექნიკური ნაგებობა, რომელნიც ყოველდღიურად განიცდიან ძლიერ დინამიურ და ატმოსფერულ ზეგავლენებს (მოძრავი შემადგენლობისაგან გამოწვეული დარტყმები, სიცხე-სიცივისაგან გამოწვეული ფიზიკურ ტანთა ცვალებადობა და სხვ.).

გზის ოსტატი არის გზის მოვლა-პატრონობის ცენტრალური ფიგურა.

სამწუხაროდ, მთელი რიგი წლების განმავლობაში გზის ოსტატის ასეთი როლი არა ჩანდა. ის მივიწყებული იყო მთელ რიგ უბნებზე. გზის ოსტატების ხელფასში ადგილი აქვს გათანაბრებას (ყველა ერთნაირად იღებს 202 მანეთს).

გზის ოსტატი გამოყენებულია ხშირად ერთ რომელიმე კილომეტრის კაპიტალურ რემონტზე ან მშენებლობაზე, დანარჩენი 20 კილომეტრი კი უპატრონოდ არის დატოვებული.

საქ. გზატრანსმა მთელი თავისი ძალებს მობილიზაცია უკეთ და მტკიცედ დაიჩაბა უმოკლეს ვადაში გამოასწოროს ეს არანორმალური მდგომარეობა, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროსა და პირადათ ამხ. ლ. ბერიას მითითებათა რეალიზაცია — „გზების მდგომარეობაში მოყვანა" გამოცხადებულია საქ. გზატრანსის მთელი სისტემის მუშაკთათვის ბრძოლის ღირსებისა და გმირობის საქმეთ.

ამ მიზნით ტარდება რესპუბლიკური კონკურსი საუკეთესო უბნის და გზის ოსტატზე. კონკურსის მთავარი ლოზუნგია: „არც ერთი კილომეტრი გზა შეუკეთებელი და კულტურული მოუვლელი".

ბოლშევიკური თავდადებით, ყველა საუკეთესო სპეციალისტთა ძალების შემოკრებით, ჩვენ აუცილებლად დავამკვიდრებთ გზების მოვლის და შენახვის მაღალ კულტურას.

საქ. გზატრანსის უფ. მოადგილე: — **მ. კუხალეიშვილი.**

გზის ოსტატი სერგო რაზმაძე

38 კილომეტრი საქართველოს სამხედრო გზაზე მანქანამ სრიალით გაიარა.

აქ—პირველი საგზაო უბნის მეორე სასტატოა.

ავტო შედგა.

გზის გადაღმა, პატარა ეზოში, რომელიც ხეხილითა და სიმინდითაა დაფარული, ერთი, არც იმდენათ პატარა, სახლი დგას. ამ სახლიდან რამდენიმე მუშა გამოვიდა და მხიარული სახეებით ჩვენსკენ გამოეშურა.

საქარ. სამხ. გზის პირველი უბნის საუკეთესო **ოსტატი სერგო რაზმაძე**

— იცნობდეთ, გზის ოსტატი სერგო რაზმაძე... სასტატოს მუშები...

რაზმაძე!.. ამ ოსტატს აქებენ საქგზატრანსის ხელმძღვანელები!

უბრალოდ ჩაცმული, გაუპარსავი კაცი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქო მას დღეს ხელებიც არ დაუბანია. ვის შეუძლია ამისათვის დაძრახოს? მუშაობს...

★

გაზაფხულის პერიოდში საქართველოს სამხედრო გზის მეორე სასტატოზე გზის სავალი ზოლის რღვევა დაიწყო. დაზიანდა განსაკუთრებით მე-25, მე-26 და მე-27 კილომეტრები. ამის გამო აღნიშნულ კილომეტრებზე მიმოსვლა გაძნელდა და ავტომანქანები ნაცვლად ნორმალურ 60 კილომეტრისა საათში, 20-25 კილომეტრ სისწრაფეს ანვითარებდნენ. გარდა ამისა, ხშირად იმტვრეოდა რესორები და ცვდებოდა რეზინი.

ყოველივე ამას ხედავდა გზის ოსტატი სერგო რაზმაძე. მას არ შეეძლო მშვიდად ეცქირა წამხდარ საქმისათვის. დადგა თუ არა მშრალი დღეები, მან თავისი ოთხი შემკეთებელი მუშა გზად გაიყვანა. არც ერთი მშრალი დღე მარტის თვიდან მოკლებული, არ გაუშვია უსაქმოდ სასტატოს მუშებს და თითოეულ საათსაც კი იყენებდნენ მთელი დატვირთვით.

მონდომებამ, საქმის სიყვარულმა და თავდადებამ მოკლე დროის განმავლობაში უზრუნველყო 21 კილომეტრი „თეთრი გზის" და 15 კილომეტრი შავი გუდრონირებული გზის შეკეთება. აწეის გვერდულები სამ კილომეტრზე 1.200 კუბომეტრი ქვიშის დაყრით. ეს ძირითადი ტრასა სავსებით დარღვეული იყო და მთელი მოძრაობა გვერდულებზე წარმოებდა. ამიტომ გვერდულები დაცვთა და ნახევარი მეტრით ძირს დაიწია, რაც გაუვალ მდგომარეობას ქმნიდა გზაზე. მათ მთლიანად გამოზიდეს შესამქიდროვებელი მასალა და დროზე გაშალეს იგი, რითაც უზრუნველჰყვეს სავალი ზოლის ძვირფასი ღორღიანი ქერქის შენახვა.

რაზმაძემ წარბშეუხრელად განაცხადა, რომ ის მთელ თავის 20 კილომეტრზე ყოველგვარ რემონტს 20 ივლისამდე დაასრულებს. ოსტატმა დასძინა, რომ სავალი ზოლის კარგ მდგომარეობაში ჩაყენების შემდეგ, რაც არ უნდა დაჯდეს, მან უნდა გაწმინდოს და გაასუფთაოს გვერდულები ბალახისაგან, მოაშოროს გზას მოგორავე ღორღი და ქვები. გასწმინდოს არხები სეზონური მუშების გამოყენებით.

— ჩემი მიზანია, თქვენი შემდეგი ჩამოსვლისათვის ერთი ნაკლიც კი ვერ მინახოთ...

სტუმრებმა გაამხნევეს ღირსეული გზის ოსტატი: — შენ ყველაზე ცოტა ნაკლოვანება გაქვს, სერგო, ექვსივე უბნის გზის ოსტატთა შორის. შენ ადვილად შესძლებ ამ ნაკლთა მოშორებასო.

რაში მდგომარეობს რაზმაძის გამარჯვების „საიდუმლოება"?

— ჩემს განკარგულებაში 5-ის ნაცვლად 4 შემკეთებელი მუშაა — დაიწყო ოსტატმა.—ამან არ შემაშინა. თითოეული მუშა მივამაგრე ცალკე კილომეტრებს და მოვუწოდე — ემუშავათ თავდადებით. თხოვნა გამიმართლეს. შემკეთებელი მუშა გიდელაური 22 კუბომეტრის მაგიერ დღეში 24 კუბომეტრ ქვიშას შლიდა. 80-ის მაგიერ 100 გრძივ მეტრ ორმოს იღებდა. გიდელაურმა შეჯიბრებაში გამოიწვია ამხანაგები.

— მე—გზის ოსტატი ყოველდღიურად ვაძლევ დავალებებს გზის შემკეთებლებს. უწერ წიგნაკებში დღიურ საკონტროლო ციფრს და ყოველდღე მუშაობის შემდეგ შესრულებას ვამოწმებ. მუშები დავალებებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ.

დილის 7 საათიდან, საღამომდე გზაზე ვარ, ვმუშაობ თვით, ვიძლევი ტექნიკურ დარიგებებს. ვიცავ ხარისხს. მე ჩემს სასტატოზე გზის კულტურული მოვლა **და მისი კეთილმოწყობა ღირსებისა და თავმოყვარეობის საქმედ მიმაჩნია.** 33 წელიწადია ვმუშაობ გზაზე. უბრალო მუშიდან გზის ტექნიკოსამდე წამოვიზარდე. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში 4-ჯერ დამაჯილდოვეს. მივიღე საათი, ველოსიპედი, ფული და... უდიდესი სიამოვნება.

ავტომობილი გამოსაბრუნებლად ემზადებოდა, როცა შემკეთებელი მუშები რაზმაძესთან ერთად შემოესიენ საქგზატრანსის ბრიგადას და ხელმძღვანელობის ნაკლოვანებები ამხილეს:

— აი, ძველი გამოცდილი მუშები თურმაშვილი და ბიბილური, 20 წელზე მეტია აქ მუშაობენ, ხოლო ხელფასს იმდენსავე იღებენ, რამდენსაც გუშინდელი გამოუწვრთნელი ახალგაზრდა თადიაშვილი.

მეორემ დასძინა:

— სასტატოზე სუსტია სურსათ-სანოვაგით მომარაგება. უბანმა უნდა შეიძინოს ზეთეული, ბოსტნეული, მარცვლეული და სხვა სავები. არ მოგვდის თამბაქოც. ყურადღება გვინდა.

ბოლოს რაზმაძემ დაუმატა, — ჩვენთვის ერთი საბარგო ავტომანქანა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ხელმძღვანელებმა ჩაიწერეს მუშათა შენიშვნები. ვნახოთ როგორ უპასუხებენ დაჩქარებლებს, რომელთაც უფლება აქვთ მოითხოვონ თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესება.

ნ. ჰაიჩაძე.

თივა

გეგმა არაა შესრულებული

(ტფილისის გარეუბნის რაიონი)

ტფილისის გარეუბნის რაიონს თივის აღება 7.006 ჰექტარზე 10 ივლისისათვის უნდა დაემთავრებია. 15 ივლისისათვის ფაქტიურად გათიბული იყო მხოლოდ 5.569 ჰექტარი.

მთელ რიგ მოწინავე კოლმეურნეობებსა და სოფლებს თიბვის გეგმა გადაჭარბებით აქვთ შესრულებული. **სოფ. მარტყოფის** კოლმეურნეობებს, მაგალითად, 250 ჰექტარის ნაცვლად გათიბული აქვთ 298 ჰექტარი, **ნორიოს** კოლმეურნეობებს 130 ჰექტარის ნაცვლად—162 ჰექტარი; **ახალი სოფლის** კოლმეურნეობებს 175 ჰექტარის ნაცვლად 199 ჰექტ. და ა. შ.

ზოგიერთ სოფსაბჭოში ერთპიროვნულმა მეურნეობებმაც გადაჭარბებით შეასრულეს თივის აღების გეგმა. მაგალითად, **ლილოში** ერთპიროვნულმა გლეხებმა 240 ჰექტარის ნაცვლად გათიბეს 285 ჰექტარი, თელეთში, 210 ჰექტარის ნაცვლად — 278 ჰექტარი, კოჯორში, 380 ჰექტარის ნაცვლად—416 ჰექტ.

მაგრამ არის ისეთი კოლმეურნეობები და სოფლები, სადაც თივის აღების გეგმა ნახევრამდეც კი არ არის შესრულებული. **სოფ. ცხვარიჭამის** კოლმეურნეობებს 35 ჰექტარის ნაცვლად გათიბული აქვთ 1,5 ჰექტარი და ერთპიროვნულ მეურნეობებს, 45 ჰექტარის ნაცვლად — 2,5 ჰექტარი, მუხრანში 260 ჰექტარიდან გათიბულია 88 ჰექტარი.

სამარცხვინოდ ჩამორჩა კახიანის სახ. კოლმეურნეობა, რომელსაც 150 ჰექტარიდან დღემდე მხოლოდ 30 ჰექტარი აქვს გათიბული.

მთელი რაიონის კოლმეურნეობებს 2120 ჰექტარის ნაცვლად თივა აღებული აქვთ 1821 ჰექტარზე და ერთპიროვნულ მეურნეობებს, 3895 ჰექტარის ნაცვლად—3012 ჰექტარზე.

რაიმიწგანის გამგე ამხ. **კიკნაძე** გვარწმუნებს, რომ ფაქტიურად მეტია გათიბული, მაგრამ სოფსაბჭოებს ცნობები არა აქვთ წარმოდგენილიო, ამხ. კიკნაძე ამასთანავე დასძენს, რომ **სადაც ასაღები იყო ბალახი — უკვე აღებულია. ზოგან ბალახი არ მოვიდა, ზოგან კი აღება ჯერ ნაადრევიაო.**

ბალახის მოუსვლელობაზე ლაპარაკიც მეტია. ამას მოწმობს იმ მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითი, რომლებმაც თივა გეგმით გაუთვალისწინებელ ნაკვეთებზეც კი აილეს, გამოთიშეს ბაღები, ბოსტნები და გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

ობიექტურ მიზეზების ამოფარების ნაცვლად გარეუბნის რაიმიწგანმა დაუყოვნებლივ უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა თივის აღებაში. იბრძოლოს იმისთვის, რომ გაუთიბავი არ დარჩეს არც ერთი ნაკვეთი და უზრუნველყოს დასახული გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

დ. მ.

თივის აღება 15 ივლისისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობებით)

15 ივლისისათვის მთელს საქართველოში თივა აღებული იყო 43.951 ჰექტარზე, რაც შეადგენს რესპუბლიკური გეგმის 25,4 პროცენტს.

საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ გეგმის 48,5 პროცენტი, კოლმეურნეობებს — 27,1 პროც.; ხოლო **ერთპიროვნულ მეურნეობებს**—18,8 პროც.,

აღმოსავლეთ საქართველოში თივის აღების გეგმა შესრულებულია 28,4 პროც. (აღებულია 42.029 ჰექტ.), დასავლეთ საქართველოში — 7,4 პროც. (აღებულია 1922 ჰექტ.).

რაიონების მიხედვით თივის აღების მხრივ ასეთი მდგომარეობა გვაქვს:

რაიონები	თივის აღების გეგმა	ფაქტ. აღებულია
ახალციხის	5.100	1.061
ადიგენის	3.000	547
ტოლოშის	3.600	50
სტალინისის	500	127
გორის	1.500	1.210
კასპის	1.600	1.160
გურჯაანის	4.250	1.843
სიღნაღის	15.000	10.522
თელავის	1.000	1.056
ყვარლის	380	290
ტფილისის	6.000	5.567
ყარაიას	2.100	843
ბორჩალოს	2.700	1.784
ლიუქსემბურგის	1.580	1.287
დუშეთის	6.770	381
ალბულაღის	7.000	2.802
საგარეჯოს	13.700	3.508
თიანეთის	3.140	1.068
სამხრეთ-ოსეთის	8.500	824
ქუთაისის	600	177
ჭიათურის	150	4
ონის	6.730	14
ამბროლაურის	5.000	198
ცაგერის	150	14
აფხაზეთში	2.120	278
აჭარისტანში	2.250	1.240

აღმოსავლეთ საქართველოდან ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ლაგოდეხის, წალკის, ბაშკიჩეთის და ხევის რაიონებს თივის აღების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ.

ჩაის ჩრჩილმა საშიში ხასიათი მიიღო

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

 აცანა, 19 ივლისი. ლანჩხუთის რაიონში ჩაის მავნებელმა, ეგრეთწოდებულმა ჩაის ჩრჩილმა საშიში ხასიათი მიიღო. ჩაის ჩრჩილი მოდებულია პლანტაციების 70 პროც.

რაიონულმა ორგანიზაციამ რამდენჯერმე მიმართა საქ. მიწსახკომს სასწრაფო დახმარებისათვის, მაგრამ მიწსახკომს დახმარება დღემდე არ აღმოუჩენია.

საჭირო,, სასწრაფო ზომების მიღება.

თ. კუნჭულია.

ვაშენოთ მუშათა სახლები
ლამაზად, სწრაფად და იაფად

საბინაო მშენებლობის საკითხებზე მოწვეულმა რესპუბლიკურმა კონფერენციამ, რომელმაც უკვე დაამთავრა მუშაობა, მოისმინა საბინაო მშენებლობის გამოსაკვლევად ჩატარებული რეიდის ხელმძღვანელის ამხ. შ. სისოევის მოხსენება რეიდის შედეგებზე.

მომხსენებელმა ჩამოსთვალა ჩვენი საბინაო მშენებლობის დამახასიათებელი აუარებელი დეფექტები; მათ შორის მთავარია საამშენებლო სამუშაოთა პროექტების უქონლობა და არსებული პროექტების ცუდი ხარისხი. არის, მაგალითად, სახლის აგების ისეთი პროექტი, სადაც გათვალისწინებული არაა საერთო საპირფარეშოები მოწყობა. წყალტუბოში კურორტის მუშა-მოსამსახურეთათვის ააშენეს დიდი სახლი. პირველი სართული ნახევრად სარდაფია. აქ ოთახები (სადაც ინჟენერ-ტექნიკოსებმა უნდა იცხოვრონ) ისეა მოწყობილი, რომ შეუძლებელი იქნება თავისუფლად ცხოვრება. თვითეული ოთახი 9 კვ. მეტრია, ოთახები ვიწროა და გრძელი. დამოუკიდებელი შესასვლელი არცერთ ოთახს არა აქვს. 8 მობინადრემ ერთიმეორეს ოთახებზე უნდა გაიარონ წყალისა, ან სხვა საჭიროებისათვის. ამ სართულზე დაავიწყდათ საპირფარეშოს მოწყობა და როცა სახლი უკვე ააშენეს, საპირფრეშო შემდეგ მოაწყეს მთავარ შესავალთან კიბის ქვეშ.

იშვიათია ისეთი საამშენებლო ობიექტი, სადაც მუშაობა წინასწარვე დამუშავებული გეგმით ხდებოდეს. არსადა აქვთ სამუშაოთა წარმოების გეგმები. ამის გამო ხშირად ხდება, რომ მოამარაგებენ მასალას, დაიქირავებენ მუშებს და თურმე სამუშაო ნახაზები კი არა აქვთ, რომ მუშაობას შეუდგენ. ანდა მოტანილ საშენ მასალებს დააწყობენ ისეთ ადგილზე, სადაც მშენებლობა უნდა აწარმოონ და შემდეგ უხდებათ მომარაგებული მასალების ახალ ადგილზე გადატანა, რაც ზედმეტ ხარჯს იწვევს და აძვირებს მშენებლობას.

მშენებელი ორგანიზაციები არ იბრძვიან მშენებლობის გასაიაფებლად. არის, მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როცა ვაკეზე დაწყებული სახლისათვის აგური მოაქვთ დიდუბის აგურის ქარხნიდან, ხოლო დიდუბეში კი — ვაკეს აგურის ქარხნიდან. აგურის ასეთ მანძილზე გადატან-გადმოტანა კი ორჯერ და სამჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე თვით აგური. ერთი კუბიკური მეტრი აგურის გადატანა ვაკედან ყოფილ არამიანცის საავადმყოფომდე მშენებელ ორგანიზაციას დაუჯდა 210 მანეთი, როცა მარტო აგურში 70 მანეთი გადაიხადა.

შემდეგ მომხსენებელმა ჩამოთვალა ის ღონისძიებები, რომლის საშუალებითაც მშენებელმა ორგანიზაციებმა უნდა გააიაფონ მშენებლობა და განახორციელონ ლოზუნგი — „ვაშენოთ სწრაფად, ლამაზად და იაფად“.

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე გაიმართა კამათი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 12-მდე ორატორმა.

კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც დაევალათ მშენებელ ორგანიზაციებს.

ბალნეოლოგიური კურორტი ნაბეღლავი

ნაბეღლავი ჩოხატაურის რაიონში მდებარეობს, დაახლოვებით 600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ქიმიკოს კუპცისის გამოკვლევით ნაბეღლავში მოიპოვება სამი თვისების მინერალური წყალი: კირტუტოვანი, რკინიანი და გოგირდოვანი წყლები. დიდი ხანია ნაბეღლავის წყლები სახელგანთქმულია, მით მრავლად სარგებლობენ ავადმყოფები — კუჭნაწლავის და სხვა სნეულებათა სამკურნალოდ, მაგრამ ჯერ ამ კურორტზე არავითარი საგამოკვლევო მუშაობა არ ჩატარებულა. მიმდინარე წელს საქართველოს საკურორტო სამმართველომ გადასდო სათანადო თანხები ნაბეღლავში კლინიკური დაკვირვების ჩასატარებლად. საქ. კურორტოლოგიის ინსტიტუტმა დაამუშავა გეგმა ნაბეღლავში ცდების და დაკვირვების ჩასატარებლად. ამ მიზნით სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიულმა კლინიკამ მიავლინა ნაბეღლავში ერთი ასისტენტი და ერთი ექიმი ლაბორანტი.

კურორტის მომარაგების კომისიამ სარიატიდან დათმობილი აქვს 30 სანატორიული ულუფა. მიმდინარე წელს სანიმუშოდ ჩამოისხმება ნაბეღლავის კირტუტოვანი წყალი, რომლის ნაწილს საქ. მინერალური წყლების განყოფილება მიაწოდებს ტფილისის სხვადასხვა კლინიკებს ცდების ჩასატარებლად.

საქ. გზატკეცილების სამმართველომ, რომელიც ხელმძღვანელობს ბახმარო ნაბეღლავის გზის მშენებლობას, დიდი მუშაობა ჩაატარა. ეხლა ურმები თავისუფლად დადიან ნაბეღლავ ბახმაროს გზაზე. ნაბეღლავის კეთილმოწყობით საქართველოს კურორტებს შემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კურორტი.

ექ. ვ. შარაშენიძე

მარგანეცი

16 ივლისს

სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)

გეგმა	ფაქტიური	%
3.330	2.686	80,7

ვაგონების მიწოდება

მოითხოვა	მიაწოდეს	დაიტვირთა
180	120	120

უცხოელი ტურისტები ტფილისში

უცხოელი ტურისტები დიდი რაოდენობით ეტანებიან ამიერ - კავკასიას. განსაკუთრებით პოპულიარულია მათთვის მარშრუტი —ქალ. ორჯონიკიძე —საქ. სამხედრო გზატკეცილი —ტფილისი და ბათომი. ტფილისი არის ცენტრი, სადაც თავს იყრიან ამიერ - კავკასიაში ჩამოსული ტურისტები, რა მარშრუტითაც არ უნდა იმოგზაურონ.

„ინტურისტის“ საქართველოს განყოფილება გასულ წლებზე უფრო მომზადებული შეხვდა მიმდინარე წლის ტურისტულ სეზონს. მან შეიძინა 4 მსუბუქი ავტომანქანა, შეაკეთა „ინტურისტის“ სასტუმრო „ორიანტი“, გამოყო გიდების (გზის მაჩვენებლების და ახსნა - განმარტებათა მიმცემი მუშაკები) ჯგუფი და სხვ.

წელს „ინტურისტის“ საქ. განყოფილება ტფილისში მოელის 2000-მდე უცხოელ ტურისტს.

სურათზე: ამ დღეებში ტფილისში ჩამოსულ ჩეხო - სლოვაკელი ტურისტების ჯგუფი ბოტანიკური ბაღის შესავალთან.

დაწყებულია მიღება
მოსკოვის საბიბლიოთეკო ინსტიტუტში

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აცხადებს, რომ დაწყებულია განცხადების მიღება მოსკოვის საბიბლიოთეკო ინსტიტუტში მსმენელთა მისაღებად. ინსტიტუტი ამზადებს საბიბლიოთეკო საქმის მაღალ კვალიფიციურ ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელებს.

ინსტიტუტში ღებულობენ ცხრაწლედ ან მუშფაკ დამთავრებულებს შემსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები —მათემატიკასა, ფიზიკასა, ქიმიასა, რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ინსტიტუტში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით. გამოცდები იწყება 15 აგვისტოს.

მსურველებმა დაწერილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართონ საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას.

პარასკევა დიმიტროვა ტფილისში

ამხ. გ. დიმიტროვის დედა პარასკევა

ამხ. გ. დიმიტროვის და—მაგდალინა დიმიტროვი

ტფილისთან გაცნობა სტუმრებმა — პარასკევა დიმიტროვამ, მაგდალინა დიმიტროვამ (გიორგი დიმიტროვის და) და ბლაგოევამ დაიწყეს საქართველოს მუზეუმის დათვალიერებით.

პარასკევა, მიუხედავად იმისა, რომ იგი 72 წლისაა, მხნედ გამოიყურება მან ყურადღებით დაათვალიერა ხევსურეთ-სვანეთის ეტნოგრაფიული გამოფენა და მოისმინა ხელმძღვანელის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ შევიდენ ხევსურეთი და სვანეთი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ძველი ტრადიციებით ცხოვრობდენ, საბჭოთა კავშირის კულტურულ ხალხთა ოჯახში.

საღამოს 6 საათზე პარასკევა დიმიტროვა, მაგდალინა დიმიტროვა და ბლაგოევა გაემგზავრენ კოჯორში, სადაც დაესწრენ ა.-კ. ცაკის და სახკომსაბჭოს პიონერ-ბანაკის გახსნას.

ბავშვები მხურვალედ შეხვდენ „ბებიას“, როგორც საბჭოთა კავშირის პიონერებმა უწოდეს გიორგი დიმიტროვის დედას. ბანაკის ოფიციალურ გახსნამდე — ბაირაღის აღმართვამდე ჯერ კიდევ კარგა დრო რჩებოდა. პიონერებმა მოაწყეს თავშესაქცევი თამაში და ცეკვა. მღეროდენ სიმღერებს ამურის პარტიზანებზე, რომლებიც ათავისუფლებდენ შორეულ აღმოსავლეთს თეთრი ბანდიტებისაგან, უპატრონო ბავშვზე, „ხუცეს სერგიზე“. დიდი სიხარული გამოიწვია ბავშვების მიერ შესრულებულმა ნაციონალურმა ცეკვამ.

მისცეს ბაირაღის აღმართვის სიგნალი. პიონერები მწკრივად ეწყობიან.

ბანაკის უფროსმა გაიცნო პიონერებს გიორგი დიმიტროვი და მისი დედა, რომელმაც რევოლუციას შესწირა ყველაზე უფრო ძვირფასი — თავისი შვილები.

პარასკევა დიმიტროვამ ბანაკის ბავშვებს და მათი მეშვეობით საბჭოთა კავშირის მთელს ახალგაზრდა თაობას გადასცა მხურვალე სალამი თავისი შვილის, გიორგი დიმიტროვის სახელით, რომელიც იბრძვის იმისათვის, რომ მთელი მსოფლიოს ყველა ბავშვმა იცხოვროს ისე კარგად, როგორც საბჭოთა კავშირის ბავშვები ცხოვრობენ

პარასკევა მოუთხრობს პიონერებს რამდენიმე ეპიზოდს თავისი შვილის ცხოვრებიდან.« გიორგს, — ამბობს ბებია, — არ გამოუცდია ისეთი ბედნიერი ბავშვობა, როგორიც თქვენ გაქვთ. მას არ შეეძლო სწავლა, მიუხედავად იმისა, რომ ამის დიდი სურვილი ჰქონდა. გიორგიმ ჯერ კიდევ 12 წლისამ დაიწყო მუშაობა იმისათვის, რომ აღებული ფულით დახმარება გაეწია ოჯახისათვის. მაგრამ იგი ვერ იკლავს ცოდნის წყურვილს და, ძლიერი დაღლილობის მიუხედავად, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, ბევრს მუშაობს თვითგანვითარებაზე. მუშაობით და სწავლით გიორგი იძენს ცოდნას, რომელიც საჭიროა მისთვის, როგორც რევოლუციური მუშაკისათვის. 18 წლის გიორგი დიმიტროვი უკვე რევოლუციური პროფკავშირის მდივანია სოფიაში.

შემდეგ პარასკევა ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ მოახერხა მან რემედასის დახმარებით ჩასულიყო მაგდალინასთან ერთად გერმანიაში და დასწრებოდა ლეიპციგის პროცესს, რომელზედაც გიორგი დიმიტროვმა გვიჩვენა, თუ როგორ უნდა იბრძოდენ რევოლუციონერები ფაშიზმის წინააღმდეგ, და თუ როგორ გამოიყენა მან ამ საქმისათვის ფაშისტური სასამართლო.

როცა ბულგარეთში დავბრუნდები, — განაგრძობს პარასკევა, — მე ვუამბობ ჩვენს ბავშვებს, თუ როგორ ცხოვრობთ თქვენ, თუ როგორ ცხოვრობს ბედნიერი საბჭოთა ქვეყნის ყველა ბავშვი. მე ამას ვუამბობ მათ იმისათვის, რომ მათაც შეიძლოთ გახდენ ბულგარეთის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა ღირსეული შემცვლელები.

დაისვენეთ, იყავით მხნედ და მტკიცედ, დააგროვეთ ძალები მომავალი სწავლისათვის, — ამთავრებს სიტყვას პარასკევა დიმიტროვა, რასაც ბავშვები მქუხარე მისასალმებელი ყიჟინით ხვდებიან.

მაგდალინა დიმიტროვამ ბანაკის პიონერებს გადასცა სალამი ბულგარელი კომკავშირელებისა და პიონერებისა.

ბავშვები გარსშემოეხვივნენ იმ მანქანას, რომელშიც ისხდენ პარასკევა, მაგდალინა დიმიტროვა და ბლაგოევა. პიონერებმა ერთხელ კიდევ თხოვეს წამსვლელ სტუმრებს გადასცენ ბულგარეთის ბავშვებს ტფილისის პიონერების და ამიერკავკასიის პიონერების მხურვალე სალამი.

საბჭოთა კავშირში

პარაშუტით ხანგრძლივი გადმოხტომის ახალი მსოფლიო რეკორდი

მოსკოვი, 17 ივლისი. საპარაშუტო საქმის ინსტრუქტორმა, მფრინავმა ამხ. ევდოკიმოვმა 16 ივლისს დაამყარა პარაშუტით ხანგრძლივი გადმოხტომის ახალი მსოფლიო რეკორდი. ამხ. ევდოკიმოვი ორმოტორიან თვითმფრინავით, რომელსაც მართავდა პილოტი ამხ. დაცკო, ავიდა 8.100 მეტრის სიმაღლეზე, პარაშუტის გაუხსნელად. 142 წამის განმავლობაში გაიარა 7.900 მეტრი და პარაშუტი გახსნა დედამიწიდან 200 მეტრის სიმაღლეზე.

ჟანგბადის აპარატმა და პარაშუტმა, რომელიც საბჭოთა კავშირშია დამზადებული, საუცხოვოდ ჩაიარეს გამოცდა.

გადმოხტომის შემდეგ ამხ. ევდოკიმოვის მდგომარეობა კარგია.

*

ამხ. ნ. ევდოკიმოვი დაიბადა 1908 წელს, მუშაა, საკ. კ. პ. (ბ) წევრი. 1929 წელს დაამთავრა მფრინავთა სკოლა. 1933 წელს 2 აგვისტოს ამხ. ევდოკიმოვი ამყარებს ხანგრძლივი გადმოხტომის მსოფლიო რეკორდს — 115 წამის განმავლობაში გადის 6.400 მეტრს და ამით ამეტებს ინგლისის ჯონ ტრანუმის რეკორდს (5.300 მეტრი თავისუფალი ვარდნა).

ამხ. ევდოკიმოვი საბჭოთა კავშირში პარაშუტიზმის ერთერთი პიონერია. იგი ითვლის ასიოდე გადმოხტომას, აქედან ნახევარზე მეტი ხანგრძლივი ხასიათის გადმოხტომაა.

უშიშარ საჰაერო მებრძოლს —მფრინავ — პარაშუტისტს ამხ. ევდოკიმოვს

თქვენი სიმამაცე და გამბედაობა, გაწვრთნა და გმირობა მისაბაძია. მხურვალედ გილოცავთ ხანგრძლივი საპარაშუტო გადმოხტომის ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი წითელი საჰაერო ფლოტის მებრძოლებს გადასცემთ თქვენს უმდიდრეს გამოცდილებას, ცოდნას და უნარს საპარაშუტო საქმეში.

მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალთა უფროსი

ალკსნისი.

შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ საქონლის ფონდების და ვაჭრობის მომწესრიგებელ კომიტეტში

მოსკოვი, 17 ივლისი. 17 ივლისს შესდგა საქონლის ფონდების და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის სხდომა ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონელზე განრიგთა გაცემის მოგვარების საკითხის შესახებ. სხდომას დაესწრო მრეწველობის გამსაღებელ გაერთიანებათა სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის და მუშათა მომარაგების განყოფილებების 60 ადგილობრივი მუშაკი.

საქონლის ფონდების და ვაჭრობის მომწესრიგებელმა კომიტეტმა შექმნა კომისია ამხ. მიქოიანის თავმჯდომარეობით და ცენტრალური და ადგილობრივი ამხანაგების მონაწილეობით. კომისიას დაევალა, სხდომაზე მომხდარი აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე, დაამუშაოს საქონლის ფონდების და ვაჭრობის მომწესრიგებელ კომიტეტის დადგენილების პროექტი. (ადს).

იტალიელი მფრინავების მოფრენა საბჭოთა კავშირში

ოდესა, 17 ივლისი. 16 ივლისს ბუქარესტიდან სასპორტო თვითმფრინავ „ბრედე-39“-ით ოდესაში მოფრინდა იტალიის ორი სამოქალაქო მფრინავი გვიდო ს...ლიგ - ვერფი და ჯიოვანი ძიაპ...ტი. გადაფრენას ტურისტულ - სასპორტო მიზანი აქვს.

საბჭოთა კავშირში მფრინავებს განზრახული აქვთ დაეშვან დონის როსტოვში, არმავირსა და ბაქოში.

ოდესაში იტალიელი მფრინავები დარჩებიან სამ დღეს. აქ ისინი დაუცდიან იტალიელ პროფესორს ვიტორიო ბონზო ბრო კიერს, რომელიც მილანიდან უნდა ჩამოფრინდეს 19 ივლისს (ადს).

დიზელმოტორების საერთაშორისო კონკურსისათვის

მოსკოვი, 17 ივლისი. 17 ივლისს დიზელმოტორების საერთაშორისო კონკურსის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ორჯონიკიძემ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ამხ. ს. მ. კაგანოვიჩთან და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. პიატაკოვთან ერთად კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის და პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ვიშნევსკის თანხლებით დაათვალიერა მოსკოვის ბაზა, სადაც უკვე თავმოყრილია ყველა მანქანა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გადარბენაში.

ამხ. ორჯონიკიძე გაეცნო მოსამზადებელი სამუშაოების მდგომარეობას და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საკონკურსო გამოცდაში მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა სახის დიზელმოტორები.

ამხ. ორჯონიკიძემ მისცა მითითება უახლოეს დღეებში დაამთავრონ მოსამზადებელი სამუშაოები და წინასწარი გამოცდა, რაც ამჟამად მოსკოვის მახლობლად წარმოებს, რათა გადარბენა დაიწყოს არაუგვიანეს 24 ივლისისა (ადს).

ვერის ახალი პარკის გახსნა

18 ივლისს ტფილისში გაიხსნა ვერის ახალი პარკი, რომელიც გაშენებულია 6 ჰექტარზე. პარკში მოწყობილია —პავილიონი, კიოსკები, შადრევანები და სხვ. დაწყებულია ფიზკულტურული მოედნის მოწყობა ბავშვებისათვის.

ბაღის გახსნას დაესწრო 8.000-ზე მეტი მშრომელი. ბაღი გაშენებულია ტფილისის საბჭოს ხარჯზე და იგი მომსახურებას გაუწევს უმთავრესად ვერის რაიონის მშრომელებს.

მომავალში, როცა ტფილისში გაშენდება კულტურისა და დასვენების დიდი პარკი (ვერა - საბურთალოს ტერიტორიაზე) არსებული პარკი შევა მის შემადგენელ ნაწილად.

სურათზე: ვერის ახალი პარკის კუთხეები. მარჯვნით —მთავარი შესავალი პარკში.

ახალი სასწავლო კომბინატი ტფილისში

მიმდინარე წლის იანვრიდან განსახკომმა დაიწყო ახალი სასწავლო კომბინატის მშენებლობა საბჭოს ქუჩაზე. კომბინატი მოცულობით ერთერთი დიდი შენობა იქნება ტფილისში. მასში მოთავსდება მრავალი სასწავლო ოთახი, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი ბინები, კლუბი, ბიბლიოთეკა, სპორტ-დარბაზი, სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, დიდი მექანიზებული სასადილო და მრავალი სასწავლო ლაბორატორია.

სასწავლო კომბინატის ფასადი გაფორმებული იქნება არქიტექტურულად.

ამჟამად მშენებლობაზე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. კომბინატი მზად იქნება მიმდინარე წლის ბოლოსათვის. მშენებლობაზე დაიხარჯება სულ 1.200 ათასი მანეთი.

კომბინატში მოთავსებული იქნება რამდენიმე საფაბრიკო-საქარხნო სკოლა.

ერთი საუკეთესოთაგანი
ტფილისის სავაჭრო ქსელში

საგაზაფხულო ბაზრობის დროს (1934 წ. აპრილი) ტფილისის სავაჭრო ქსელში დაწინაურდა ტ. ს. ო. კ.-ის (ტფ. საომხ. ორგან. კავშირი) მაღაზია № 27 ბაზრობის განმავლობაში აღნიშნული მაღაზია გადაჭარბებით ასრულებდა სავაჭრო - საფინანსო გეგმებს. მან აითვისა ვაჭრობის ტექნიკა, მოსპო რიგები და სხვ საგაზაფხული ბაზრობის დროს მიღწეული გამარჯვებების შესანარჩუნებლად მაღაზიის მუშაკებმა (გამგე ამხ. ხუხუნაიშვილი) ბრძოლა არ შეანელეს და ამჟამად ეს მაღაზია ერთ საუკეთესოთაგანადაა აღიარებული ტფილისის სავაჭრო ქსელში.

მაღაზიამ გააფართოვა თვითდამზადებები, გააფართოვა და გააუმჯობესა საქონლის ასორტიმენტი, გახსნა ახალი განყოფილებები.

ეს მაღაზია შეტანილი იყო საგაზაფხულო ბაზრობაში გამარჯვებულ და დაწინაურებულ იმ მაღაზიათა სიაში, რომლებიც უნდა დაეჯილდოვებია ბაზრობის ხელმძღვანელ კომისიას, მაგრამ კომისიას დღემდეც არ განუხილავს ჯილდოების განაწილების საკითხი.

სურათზე: ტ. ს. ო. კ.-ის № 27 მაღაზიის მზა ტანსაცმელებით სავაჭრო განყოფილება.

ფიზკულტურა და სპორტი
ფეხბურთი
ყირიმი—ტფილისი

ამას წინად ტფილისში ჩამოვიდა ყირიმის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც ჩაატარა სამი შეჯიბრება და არც ერთი არ წაუგია. გუნდი საკმაოდ ძლიერია.

18 ივლისს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა უკანასკნელი შეჯიბრება. ტფილისის მხრიდან თამაშობდა სარემონტო ქარხნის გუნდი.

ორივე გუნდი მონდომებით თამაშობს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ტფილისელების თამაში. მალე მათ ერთი ბურთი გააქვთ სტუმრების ბადეში. ამის შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა. თამაშის პირველი ნაწილი დამთავრდა ტფილისელების სასარგებლოდ 1:0.

თამაშის მეორე ნაწილი დაიწყო სტუმრების შეტევით. ისინი აღწევენ ანგარიშის გაქვითებას. ამის შემდეგ თამაში კიდევ უფრო გაცხოველდა, ორივე გუნდი ცდილობს მიაღწიოს გამარჯვებას. ტფილისელებმა ამ მომენტში ბევრი ბურთი დაკარგეს, განსაკუთრებით მარცხენა გარემარბის სუსტი თამაშით. სტუმრები გადადიან უხეშ თამაშზე, ისინი თამაშის წესრიგს არღვევენ. ამისათვის მსაჯი კრავჩენკო, მათ აჯარიმებს პენალტით, მაგრამ სტუმრები არ თანხმდებიან. მეკარე ხაზზე არ სდგას, კრავჩენკო სამჯერ აძლევს გაფრთხილებას მეკარეს, რათა ის დადგეს ხაზზე, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯიუტობს და არ იცავს წესს. ბოლოს მსაჯი სრულიად სამართლიანად ხსნის ყირიმის გუნდს თამაშიდან. ამრიგად, შეჯიბრება დამთავრდა უშედეგოდ 1:1.

ხელოვნება
გურულ მომღერალთა გუნდის გასტროლები

ამ დღეებში გურულ მომღერალთა გუნდი ვარლამ სვიმონიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც პირველი ხარისხის ჯილდო მიიღო ამიერ - კავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე, —მიემგზავრება საგასტროლოდ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გუნდი გასტროლებს ჩაატარებს აფხაზეთში, აჭარისტანში, მოაწყობს გასვლას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. გუნდს თავის რეპერტუარში შეტანილი აქვს მთელი რიგი ახალი სიმღერები. გუნდი რაიონებში მიემგზავრება სრული შემადგენლობით.

ამინდი საქართველოში

18 ივლისის დღის 8-ს. 19 ივლისის დღის 8 საათამდე

18 ივლისს მთელ საქართველოში იდგა მოწმენდილი და მშრალი ამინდი. მდ. რიონის ხეობაში ქროდა ზომიერი ქარი, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში ქარი სუსტი იყო.

ტემპერატურა ცვალებადი იყო და აღწევდა დასავლეთ საქართველოში, დღისით — 24 გრადუსიდან (შოვი) 34 გრადუსამდე (ფოთი, საჩხერე, ქიათურა). ღამით კი 17 გრადუსიდან (ქალაქ მახარაძე) ტემპერატურა აღწევდა 27 გრადუსამდე.

აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა აღწევდა, დღისით 18 გრადუსიდან (გუდაური) [illegible] გრადუსამდე (ყარაია) და ღამით 11 გრადუსიდან (გუდაური) 19 გრადუსამდე (ლაგოდეხი).

მოსალოდნელი ამინდი 20 ივლისისათვის: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, მდ. რიონის ხეობაში ზომიერი ქარი და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

აღმოსავლეთ საქართველოში —მოღრუბლულობის ზრდა, სიმშრალე, სუსტი ქარი და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

* * *

ტროპიკულ მედიცინის მოამბე

ორი წლით შეწყვეტის შემდეგ კვლავ იწყო გამოსვლა ქართულ ენაზე საქართველოს ს. ს. რ-ის ტროპიკული მედიცინის დაწესებულებათა ჟურნალმა — „ტროპიკული მედიცინის მოამბემ“. ჟურნალს რედაქტორობს საქართველოს სამეცნიერო-საგამოკვლევო ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ს. პ. კანდელაკი. პირველი ნომერი შეიცავს ამხ. გ. ლ. კუპრაძის სტატიას ტროპიკულ მედიცინაზე მეორე ხუთწლედში, ამხ. ს. პ. კანდელაკის სტატიას ტროპიკული მედიცინის და მისი ამოცანების შესახებ, აგრეთვე, ტროპიკულ სნეულებათა სპეციალისტების მთელი რიგი სტატიები.

* * *

დადგენილება
საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი

1934 წ. ივლისის 17

სასროლო შეჯიბრზე მონაწილეთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

განთავისუფლებული იქნენ სამუშაოდან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ა.-კავკასიის ოსავიაქიმის მიერ ივლისის ბოლოში მოწყობილ რესპუბლიკურ სასროლო შეჯიბრებაში, მათთვის ამ ხნის განმავლობაში ადგილისა და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

ს.პ.კ.ს. პ.-მგ. მდივანი **ნადირაშვილი.**

შრომის დაცვის განყ. გამგე **მიქირტიჩიანი.**

* * *

პარტკალენდარი

ორჯონიკიძის რაიკომის მესამე პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იტყობინება, რომ ა.-წ. 20 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, ვორონცოვის სახ. კლუბში (კომინტერნის ქ., 5) მოწვეულია რაიკომის მე-3 პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. პარტიის წესდების შეთვისება (პარტიის წევრთა მოვალეობანი). აბრეშუმის ფაბრიკის პარტკომის მდივნის ამხ. **ცეცხლაძის**, საქართველოს სახალხო მშენებლობის პარტკომის მდივნის ამხ. **ჰარაპეტიანის**, ტფილისის საბჭოს პარტკომის მდივნის ამხ. **ახობაძის** და რაიკომის მდივნის მოადგილის ამხ. **გეგენავას** მოხსენებანი.
2. პროდუქციის ხარისხის შესახებ ტფილისის კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების რეალიზაციის მსვლელობა რაიონში და წლის პირველი ნახევრის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება (აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორის ამხ. **თოთიბაძის**, აგურის ქარხნის დირექტორის ამხ. **ოგანეზოვის** და რაიკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. **ჩირქეზიას** მოხსენებანი).
3. ორგსაკითხები.

ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის პლენუმის ყველა წევრის, რაიონის პარტკომთა მდივნების, პირველადი პარტორგანიზაციების პარტორგების და საწარმოთა დირექტორების დაუგვიანებლივ დასწრება სავალდებულოა.

⁂

სტალინის რაიკომი იუწყება, რომ 20 ივლისს საღამოს 7 საათზე ტრამვაელთა საზაფხულო კლუბში მოწვეულია სტალინის რაიკომის მე-5 პლენუმი. რაიკომი წინადადებას აძლევს როგორც პლენუმის წევრებს, ისე პარტაქტივს უზრუნველჰყონ პლენუმზე დროულად გამოცხადება. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

⁂

20 ივლისს საღამოს სრულ 7 საათზე ლენ.-რაიკომის პარტ - კაბინეტთან შესდგება პროპაგანდისტთა მორიგი პროფსემინარი. თემა: „პარტიის იდეურ - პოლიტიკური ბრძოლის ამოცანები“. დასწრება რაიონის ყველა პროპაგანდისტისა დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

რუსთაველის თეატრი სახალხო არტისტის სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით

სეზონი 1934-35 წლის

20 ივლისიდან თეატრის სალაროდან რწმუნებულთა საშვალებით

გაიცემა დაკვეთის მიხედვით აბონემენტები

სეზონის წლიური ადგილების შესყიდვის ვადა გაგრძელებულია სალარო ღიაა სად. 6—9 საათამდე. ნ. 339 2-2

ოქტომბერი 9. 10-45	სათავგადასავლო ფილმი „მის-მენდი“ მე-2 სერია.
დამკვრელი საზაფხ. 9. 11	ახალი მხატვრ. ფილმი „გიქორი“ რ-გრ-ის გაო ს. კ. ფ. № 12
დამკვრელი საზამთ. 6-30, 8, 9-30, 11	
ეთერი საზაფხ. 9. 11	სათავგად. ფილმი „ლამურები“ [illegible]
ტემკა (საზაფხ.) 9. 11.	ახალი კომედია „ზოგიერთი ნაცნობი“
„ზს“-ის სახ კვაის. 9. 11.	„წითელი ეშმაკუნები“ ორივე სერია ერთად
რ. ლიუქსემბურგის სახელობის სეანს. 7. 9. 11	საბჭოთა-ქართული ფილმი კვალ და კვალ
კომინტერნი“ საზაფხ. დიდუბე 11	საბჭოთა-ქართული ფილმი „ელლა დონზა“

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს ჩამორჩენილებს და სუსტებს ელემენტარულ და უმაღლეს მათემატიკაში

ყველა ტიპის სკოლებისათვის

გრიბოედოვის ქ № 5. ნახვა 10—12 და 5—8. 4-1 4105

ექიმი გერიშვილი

ვენერიული სახარდესქესო სიფილისი და კანისა დილ. 9—12 ს. საღ. 6—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი პლეხანოვის შესახვევი № 8 სასტუმრო „ევროპას“ (ყ. ფ „ნოე“) და დასწვრივ.

7—3 3565

უმაღლესში, ტექნიკ. და მუშფაკ. 6, 7, 8 კლ. შესასვლელად

ვამზადებ

მათემატიკასა და რუსულში და ვასწავლი უცოდინარებს

არითმეტიკას და ბუხჰალტერიას

მოანგარიშის თანამდებობისათვის

პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. 5. ნახვა 8—12 ს. 4—8 ს. 4106 4—1

ექიმი

ვ. ფ. ოთხმეზური

ქირურგიული სნეულებანი

იღებს სად. 5—7 საათამდე. სამართი—გრიბოედოვის ქ. № 19

სტალინისის ელექტრო დეპოს თანამშრომლები: ცინაძე მიტო, კამკამიძე ვლადიმერი, ქელიძე ალექსი, ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ უახლოესი მეგობრის შალვას ქალიშვილის

თამარა დარსაველიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო 4317

ცოლი ეკატერინე შვილებით: ნინა, რუსუდანი, დარეჯანი, ოთარი და თინათინი იუწყებიან ძვირფასი ქმრის და მამის

დიმიტრი გიორგის-ძე ჩიჩუას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 20 ივლისს 7 საათზე, კობის ქუჩა № 11.

შვილი ნინა და სიძე ერიკ ბედია იუწყებიან ძვირფასი მამის და სიმამრის

დიმიტრი გიორგის-ძე ჩიჩუას

უეცრად გარდაცვალებას

ნეშრევანი, ნინა თავხელიძეები შვილებით: შამშე, ნიკიფორე, პლატონი, ნიკოლოზი, რძალი ნატა, შვილიშვილები ნეშიკო, ალეკო ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამთ

აბესალომ ალექსის-ძე თავხელიძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ბალდათში 21 ივლისს

ნინა, დათიკო, რეზიკო და მზია მინდაძეები იუწყებიან უსაყვარლესი რძლის და ბიცოლას

მარუსია ალექსანდრეს ას. მოდებაძის

უდროოთ გარდაცვალებას ნ. 342

გულმოკლული მშობლები ეენიკო, გრიშა ძმა კარლო დასტირიან თავის სიხარულს, სიამაყეს, პატარა

ნოდარი ნადარეიშვილის

უდროვოდ დაკარგვას. დასაფლავება 20 ივლისს, ავლაბრის სასაფლაოზე. გამოსვენება დღეს. კ. ცეტკინას ქ. 24. 6 ს. 4316

მშობლები: საშა, მიხეილი, ძმები: ვალერიანე, იროდიონი, დები: ალექსანდრა, მარო და ზინა იუწყებიან სიცოცხლით სავსე

აკულინა მიხეილის ას. უჩანეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა 21 ივლისს. სოფ. ზანათში 4321

გულმოკლულნი მშობლები: თამარა, პეტია, დაი სულიკო, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა მათთვის უსაყვარელესი, ჯერ კიდევ ნორჩი

გულიკო (ვენერა) პარუმბეგოვი

დაკრძალვა 20 ივლისს, ზესტაფონში 4290

ლიზიკო და ნოე ნადარეიშვილები შვილებით და ძმის შვილებით: თინა, გიგა, ნათელა, კაკო, ბალა, გენოთი მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი პატარა

ნოდარ გრიგოლის-ძე ნადარეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 20 ივლისს ცეტკინის ქ. 24 4323

მეგობრები: უჩანეიშვილი, კამკამიძე, სულთანიშვილი, გურსკაია, ფრუიძე, შონია, ჯვარშეიშვილი, კაჭარავა, ვაშაკიძე, ქავთარაძე, მაზმანოვი, ხაცევიჩი, სურგულაძე, ქინქლაძე, გვრიტიშვილი, კუპავა, ბუხნიკაშვილი იუწყებიან კონსტანტინე მოდებაძის მეუღლის

მარიამ მოდებაძის

გარდაცვალებას 4322

ვარლამ, ნადია, მარო და შალვა ნადარეიშვილები მწუხარებით იუწყებიან პატარა

ნოდარ გრიგოლის-ძე ნადარეიშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 20 ივლისს 6 საათზე. კლარა ცეტკინას ქ. 24 4329

ვანო და თალიკო კახაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელ მეგობრის

დევი მიქელაძის

უეცრად გარდაცვალებას 4330

ირინე და ლალი მიქელაძეები, თამარი და ნათელა ვაჩნაძეები, საშა ფირცხალავა იუწყებიან ძვირფას მეუღლის, მამის და სიძის

დევი მიქელაძის

მოულოდნელად დაკარგვას ქ. ლენინგრადში. ურნის ჩამოსვენება 22 ივლისს საღამოს 6 ს. 4331

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრა და საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება იუწყებიან კათედრის ასისტენტის და საზოგადოების მდივნის

დევი მიქელაძის

მოულოდნელ გარდაცვალებას ქ. ლენინგრადში. კრემაცია მოხდა მოსკოვში 17 ივლისს 4332

დამწუხარებულნი ბებია, ბაბუა გიორგი და ვარო შვილებით: ანტუშა ლადო არუთინოვები გამოსთქვამენ მწუხარებას პატარა შვილიშვილის

ნოდარის

უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა 20 ივლისს 6 საათ. ავლაბრის სასაფლაოზე გამოსვენება კ. ცეტკინის ქ. 24 4326

მეცნიერებათა აკადემიის ტფილისის ქიმიური ინსტიტუტი მწუხარებას გამოსთქვამს აკადემიის ა.-კავკასიის ფილიალის გეოლოგიური სექტორის და ტფილისის უნივერსიტეტის გეოლოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკის

დევი მიქელაძის

უდროვოდ გარდაცვალების გამო. 4325

ირინეია ჯიოლაძე და კოტე ენუქიძე ღრმეს მადლობას უცხადებთ ყველა ნაცნობმეგობრებს, ვინც პატივი გვცა და გაიზიარა ჩვენი მწუხარება პატარა

მერაბიკო ენუქიძის

დაკარგვის გამო. 4318

ტფილისის ტელეფონის ქსელის დირექცია, საინჟ. ტექნ. პერს. და მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან ყოფ. დირექტორის მოადგილე კონსტანტინე როსტომის-ძე მოდებაძის მეუღლის

მარიამ მოდებაძის

გარდაცვალებას 4333

დამწუხარებული ქმარი კაკო ნიშნიანიძე, მშობლები, ძმები ქურიძეები, მაზლები, რძლები, მული ლუბა ნიშნიანიძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ ძვირფასი

ვერა ქურიძე-ნიშნიანიძის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქ პანაშვიდი 21 ივლისს, სოფ. ჭოლევში 4314

დამწუხარებული დედა მარიამი. ძმა ვახტანგი, და თინათინ, მამიდები: რაისა, აგრაფინა ცაგარეიშვილები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

მარულია ცაგარეიშვილი-ცინცაძის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველ დღე ძნელაძის ქ. № 28, დაკრძალვა 22 ივლისს, კუკიის სასაფლაოზე. 4315

ტფილისის კოოპერატიული ტექნიკუმის თანამშრომლები ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ტექნიკუმის დირექტორის ამხ. გრიშა ნადარეიშვილის შვილის

პატარა ნოდარის

უდროოდ გარდაცვალების გამო გამოსვენება 20 ივლისს, 6 ს. კლარა ცეტკინას ქ. № 24 4319

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ჩ—251.